

მონაცემთა გზამკვლევი გლობალური განვითარების რაკურსში

სტატისტიკა - ინდექსები - რეიტინგები

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური სასწავლო და
კვლევითი ინსტიტუტი

თბილისი
მაისი, 2022



LEVAN MIKELADZE
DIPLOMATIC TRAINING AND
RESEARCH INSTITUTE



მონაცემთა გზამკვლევი გლობალური განვითარების რაკურსში სტატისტიკა ინდექსები რეიტინგები

ავტორები:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
დიპლომატიური ინსტიტუტის მკვლევარი, ელჩი
მიხეილ უკლება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
დიპლომატიური ინსტიტუტის სასწავლო პროგრამების
კოორდინატორი ნუკრი თავაძე

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი	9
სტატისტიკა	10
გაეროს სტატისტიკა / UNITED NATIONS STATISTICS	10
მსოფლიო ბანკის მონაცემები/ THE WORLD BANK DATA	10
საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკა / IMF - INTERNATIONAL MONETARY FUND STATISTICS.....	10
შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკა და მონაცემთა ბაზები / ILO - INTERNATIONAL LABOUR ORGANIZATION STATISTICS AND DATABASES	11
მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტატისტიკა / WTO - WORLD TRADE ORGANIZATION STATISTICS.....	11
გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის სტატისტიკა / UNCTAD STAT - UNITED NATIONS CONFERENCE ON TRADE AND DEVELOPMENT STATISTICS	11
გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის სტატისტიკა / UNIDO - UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION STATISTICS	12
გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სტატისტიკა / UNHCR - THE UN REFUGEE AGENCY STATISTICS	12
გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა / FAO – FOOD AND AGRICULTURAL ORGANIZATION OF THE UNITED NATIONS STATISTICS	12
გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს მონაცემები / UNODC - UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME DATA	13
გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები / UNWTO – WORLD TOURISM ORGANIZATION STATISTICAL DATA	13
გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი / UNESCO – THE UNITED NATIONS EDUCATIONAL, SCIENTIFIC AND CULTURAL ORGANIZATION. UIS-UNESCO INSTITUTE FOR STATISTICS	13
გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემები / UNICEF - UNITED NATIONS CHILDREN’S FUND DATA	13
გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეგისტრი / UNROCA UN REGISTER OF CONVENTIONAL ARMS.....	14
გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის წლიური ანგარიში / UNFCCC – UNITED NATIONS FRAMEWORK CONVENTION ON CLIMATE CHANGE ANNUAL REPORT	14
გაეროს ციფრული ბიბლიოთეკა / UNITED NATIONS DIGITAL LIBRARY	14
ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკა / WHO - WORLD HEALTH ORGANIZATION STATISTICS.....	14
ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკა / WIPO - WORLD INTELLECTUAL PROPERTY ORGANIZATION STATISTICS	15
ევროსტატი- ევროპული სტატისტიკა / EUROSTAT- EUROPEAN STATISTICS	15
ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სტატისტიკა / ORGANIZATION FOR ECONOMIC CO-OPERATION AND DEVELOPMENT. OECD STATISTICS	15

ნატო - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტატისტიკა / NATO - NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION'S STATISTICS	15
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წლიური მიმოხილვა / EBRD - EUROPEAN BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT ANNUAL REVIEW	16
სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის მონაცემთა ბაზა / STOCKHOLM INTERNATIONAL PEACE RESEARCH INSTITUTE SIPRI - DATABASE.....	16
GAPMINDER -ის სტატისტიკა / GAPMINDER STATISTICS.....	17
INDEXMUNDI-ის სტატისტიკა / INDEXMUNDI STATISTICS	17
ინტერ - ამერიკის განვითარების ბანკის მონაცემები / IDB - INTER-AMERICAN DEVELOPMENT BANK DATA.....	17
მსუბუქი შეიარაღება და საბრძოლო მასალები-იმპორტი & ექსპორტი / SMALL ARMS AND AMMUNITION-IMPORTS & EXPORTS	18
აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის სააგენტო - მსოფლიო ფაქტების წიგნი / CIA - CENTRAL INTELLIGENCE AGENCY THE WORLD FACTBOOK.....	18
საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემები და სტატისტიკა / IEA INTERNATIONAL ENERGY AGENCY DATA AND STATISTICS	18
მსოფლიო ფასეულობათა მიმოხილვის მონაცემთა ბაზა / WVS – WORLD VALUES SURVEY DATABASE.....	18
GOOGLE-ის საჯარო მონაცემები / GOOGLE PUBLIC DATA	19
კომპანია "British Petroleum" სტატისტიკური მიმოხილვა / BP – THE BRITISH PETROLEUM COMPANY STATISTICAL REVIEW	19
ევროპის ცენტრალური ბანკის სტატისტიკა / EUROPEAN CENTRAL BANK STATISTICS	19
აშშ შრომის ბიუროს სტატისტიკა / U.S. BUREAU OF LABOUR STATISTICS.....	19
აზიის განვითარების ბანკის მონაცემები და სტატისტიკა / ADB - ASIAN DEVELOPMENT BANK DATA AND STATISTICS	19
საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის სტატისტიკა / BIS – THE BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS STATISTICS	20
საერთაშორისო გაზის კავშირის წლიური ანგარიში / IGU - INTERNATIONAL GAS UNION ANNUAL REPORT.....	20
საერთაშორისო გაზის კავშირის ენერგეტიკის სტატისტიკა / IGU - INTERNATIONAL GAS UNION ENERGY STATISTICS	20
CEDIGAZ მონაცემთა ბაზები / CEDIGAZ DATABASES.....	20
საერთაშორისო ალუმინის ინსტიტუტის მსოფლიო ალუმინის სტატისტიკები / IAI - INTERNATIONAL ALUMINIUM INSTITUTE WORLD ALUMINIUM STATISTICS.....	21
მსოფლიო ფოლადის ასოციაციის სტატისტიკა / WSA - WORLD STEEL ASSOCIATION STATISTICS.....	21
სტანდარტული კულტურათაშორისი ნიმუშების მონაცემთა ბაზა / SCCS - THE STANDARD CROSS-CULTURAL SAMPLE DATA	21
მარცვლეულის საერთაშორისო საბჭოს მონაცემთა ბაზა / IGC - INTERNATIONAL GRAINS COUNCIL DATABASE	22
FITCH SOLUTIONS -ის სამრეწველო კვლევა / FITCH SOLUTIONS INDUSTRY RESEARCH	22

უფსალას უნივერსიტეტის მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის დეპარტამენტი. უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა (UCDP) / UPPSALA UNIVERSITY DEPARTMENT OF PEACE AND CONFLICT RESEARCH THE UPPSALA CONFLICT DATA PROGRAM (UCDP)	22
ქვეყნის კომერციული გზამკვლევი / COUNTRY COMMERCIAL GUIDE	22
ადამიანთა ურთიერთობების არეალის დოსიე / HRAF –HUMAN RELATIONS AREA FILES	22
ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია- წლიური სტატისტიკური ბიულეტენი / OPEC - ORGANIZATION OF THE PETROLEUM EXPORTING COUNTRIES – ANNUAL STATISTICAL BULLETIN	23
აფრიკის განვითარების ბანკის ჯგუფის სტატისტიკა / AFDB - AFRICAN DEVELOPMENT BANK GROUP STATISTICS	23
ბრინჯის საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტის სტატისტიკა / IRRI - INTERNATIONAL RICE RESEARCH INSTITUTE STATISTICS	23
Worldometer სტატისტიკები/ Worldometer statistics.....	23
ინდექსები.....	25
ბლუმბერგის ინდექსები/ BLOOMBERG INDICES	25
TRACE მექრთამეობის რისკის მატრიცა / TRACE BRIBERY RISK MATRIX.....	25
არმემდგარი სახელმწიფოების ინდექსი / FRAGILE STATES INDEX.....	25
გლობალური საცეცხლე სიძლიერე / GLOBAL FIRE POWER - GFP	26
გლობალური ქალაქების კონკურენტუნარიანობის ინდექსი / THE GLOBAL CITY COMPETITIVENESS INDEX	26
IMD SMART (ჭკვიანი) ქალაქის ინდექსი / IMD SMART CITY INDEX.....	26
გლობალური ქალაქების ინდექსი / GLOBAL CITIES INDEX.....	26
საკონსულტაციო კომპანია “A.T. KEARNEY”-ის გლობალური მომსახურების ადგილმდებარეობის ინდექსი / A.T. KEARNEY – GLOBAL SERVICES LOCATION INDEX.....	27
საკონსულტაციო კომპანია “A.T. KEARNEY”-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნდობის ინდექსი / A.T. KEARNEY - FDI FOREIGN DIRECT INVESTMENT CONFIDENCE INDEX.....	28
საკონსულტაციო კომპანია “A.T. KEARNEY”-ის და ჟურნალ “FOREIGN POLICY”-ის გლობალიზაციის ინდექსი / The A.T. KEARNEY & FOREIGN POLICY GLOBALIZATION INDEX.....	28
ბალტიკის საფონდო ბირჟის მონაცემთა სერვისი / The Baltic Exchange Data Services.....	28
მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი / WEF-WORLD ECONOMIC FORUM –THE GLOBAL COMPETITIVENESS INDEX	28
მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) „ინკლუზიური განვითარების ინდექსი“ / World Economic Forum (WEF) The Inclusive Development Index (IDI).....	29
საერთაშორისო გამჭვირვალობა- კორუფციის აღქმის ინდექსი / TRANSPARENCY INTERNATIONAL-CPI CORRUPTION PERCEPTIONS INDEX	29
LBMA ლონდონის ზოდების ბაზრის ასოციაცია- ფასი და მონაცემები / LBMA -London Bullion Market Association - PRICE AND DATA.....	29
THE LEGATUM ინსტიტუტის კეთილდღეობის ინდექსი / THE LEGATUM INSTITUTE PROSPERITY INDEX	30
ხელოვნური ინტელექტის ინდექსი- ანგარიში / Artificial Intelligence Index - Report	30

Polity IV პროექტი - პოლიტიკური რეჟიმის მახასიათებლები და გადასვლები / Polity IV Project – Political Regime Characteristics and Transitions.....	30
ვენის საფონდო ბირჟა-ინდექსები / The Wiener Börse AG-Indices.....	30
ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი. გლობალური მშვიდობის ინდექსი / INSTITUTE FOR ECONOMICS AND PEACE. GLOBAL PEACE INDEX.....	31
ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა (IBP) „ღია ბიუჯეტის ინდექსი“ / International Budget Partnership (IBP) Open Budget Index.....	31
ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ეკონომიკის ცოდნის ინდექსი / EBRD - European Bank for Reconstruction and Development Knowledge Economy Index.....	31
გლობალური შიმშილის ინდექსი / Global Hunger Index.....	31
The Heritage Foundation. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი / The Heritage Foundation. Index of Economic Freedom.....	32
გლობალური ტერორიზმის ინდექსი / GTI-GLOBAL TERRORISM INDEX.....	32
ჟურნალის „The Economist Intelligence Unit’s“ დემოკრატიის ინდექსი / The Economist Intelligence Unit’s Index of Democracy.....	32
მსოფლიო ბანკის „ადამიანური კაპიტალის ინდექსი“ / World Bank Human Capital Index.....	32
ვებ ინდექსი / THE WEB INDEX.....	33
აფრიკის მმართველობის იბრაჰიმის ინდექსი-IIAG / Ibrahim Index of African Governance -IIAG.....	33
არასამთავრობო ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრების გარეშე ინფორმაციის თავისუფლებისთვის“- მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი / Non-governmental Organization “Reporters Without Borders for Freedom of Information” - World Press Freedom Index.....	33
ლონდონის ლითონების ბირჟის ინდექსი / LME Index - London Metal Exchange Index.....	34
მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი - საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნების ჩართულობის ინდექსი / WOLRD ECONOMIC FORUM- GLOBAL ENABLING TRADE INDEX.....	34
გაეროს განვითარების პროგრამა. ადამიანის განვითარების შესახებ ანგარიშთა მონაცემები - ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი / UNITED NATIONS DEVELOPMENT PROGRAMME. HUMAN DEVELOPMENT REPORTS- DATA HUMAN DEVELOPMENT INDEX (HDI).....	34
გლობალური ინოვაციების ინდექსი / GII - The Global Innovation Index.....	34
მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსი / WJP – The World Justice Project - Rule of Law Index.....	35
მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „ღია მმართველობის ინდექსი“ / WJP – The World Justice Project - Open Government Index.....	35
გლობალური ანალიტიკური და საკონსულტაციო კომპანია GALLUP-ის წამყვანი რელიგიების მაჩვენებლების ინდექსი / The Global analytical and consulting company Gallup Index of Leading Religious Indicators.....	35
შვეიცარიის ეკონომიკური ინსტიტუტის (შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიის ინსტიტუტი ციურიხში) გლობალიზაციის ინდექსი KOF ETH / Globalization Index - Swiss Economic Institute at ETH Zurich.....	35
ბერტელსმანნის ტრანსფორმაციის ინდექსი / BTI - Bertelsmann Transformation Index.....	36

მსოფლიო ბედნიერების ანგარიში / The World Happiness Report	36
Good Country ინდექსი / Good Country Index	36
Fraser Institute-ის ადამიანის თავისუფლების ინდექსი / Fraser Institute-The Human Freedom Index (HFI)	37
ნუმბეოს ინდექსები / Numbeo Indices.....	37
DHL გლობალური ჩართულობის ინდექსი / DHL Global Connectedness Index	37
ეკონომიკის კომპლექსურობის ინდექსი / Economic Complexity Index	38
გლობალური მეწარმეობის ინდექსი / Global Entrepreneurship Index	38
გლობალური შესაძლებლობების ინდექსი / Global Opportunity Index.....	38
TheGlobalEconomy.com მონაცემები / TheGlobalEconomy.com Data	38
საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსი / International Property Rights Index	38
ბიგ მაკის ინდექსი / The Big Mac index	39
ICT განვითარების ინდექსი / ICT Development Index	39
ჰენლის პასპორტის ინდექსი/ The Henley Passport Index.....	39
საერთაშორისო ლოგისტიკური საქმიანობის ინდექსი /International Logistics Performance Index (LPI).....	39
ქსელური მზადყოფნის ინდექსი / Network Readiness Index	40
მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი / Travel & Tourism Competitiveness Index.....	40
სამუშაოდ და სამოგზაუროდ საუკეთესო ქვეყნების რეიტინგი / Top Countries for Travel and Work In	40
ინტერნეტის თავისუფლების ინდექსი / Freedom on the Net	40
ბედნიერი პლანეტის ინდექსი / The Happy Planet Index	41
ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი / Environmental Performance Index.....	41
მონაცემთა ღიაობის ბარომეტრი / The Open Data Barometer	41
დოუ ჯონსის სამრეწველო საშუალო ინდექსი / THE DOW JONES Industrial Average DJIA INDEX.....	42
Standard & Poor's 500 ინდექსი / Standard & Poor's 500 Index.....	42
NASDAQ (ფასიანი ქაღალდების დილერების ეროვნული ასოციაციის ავტომატური ქვოტირება) ინდექსები / NASDAQ (National Association of Securities Dealers Automated Quotation) INDEXES.....	42
Wilshire 5000 ბაზრის საერთო ინდექსი / Wilshire 5000 Total Market Index.....	43
ფრანკფურტის საფონდო ბირჟა- DAX 30 ინდექსი / Frankfurt Stock Exchange- Dax 30 Index	43
ლონდონის საფონდო ბირჟა- FTSE FOOTsie 100 ინდექსი / London Stock Exchange- FTSE FOOTsie 100 Index	43
NIKKEI ინდექსი / NIKKEI Index	43
EURONEXT პარიზის საფონდო ბირჟის CAC 40 ინდექსი / EURONEXT PARIS CAC 40 INDEX	44
HANG SENG ინდექსი / HANG SENG INDEX	44
სან-პაულოს საფონდო ბირჟა-IBovespa ინდექსი / San Paulo Stock Exchange - IBovespa Index.....	44
MSCI Inc ინდექსი / MSCI Inc Index	44

კორეის საფონდო ბირჟის KOSPI ინდექსი / Korea Stock Exchange KOSPI Index.....	44
All Ords-ის ჩამონათვალი / All Ords List.....	44
S&P Bombay Stock Exchange Sensitive Index- The SENSEX ინდექსი / S&P Bombay Stock Exchange Sensitive Index- THE SENSEX INDEX	44
შანხაის საფონდო ბირჟის კომპოზიციური ინდექსი / Shanghai Stock Exchange Composite Index.....	45
Six შვეიცარიის საფონდო ბირჟის ინდექსები / Six Swiss Exchange Indices.....	45
ესპანეთის საფონდო ბირჟები და ბაზრები (BME) ინდექსები / Bolsas y Mercados Españoles – BME Indices	45
ტორონტოს საფონდო ბირჟის ინდექსები / Toronto Stock Exchange Indices.....	46
ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის Arca ნავთობის ინდექსი / The NYSE Arca Oil Index.....	46
ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის Arca Gold Bugs ინდექსი / The NYSE Arca Gold BUGS Index HUI	46
THE Palisades წყლის ინდექსი (ZWI) / The Palisades Water Index (ZWI)	46
ფილადელფიის საფონდო ბირჟის (PHLX) ოქროსა და ვერცხლის სექტორის ინდექსი (XAU) / Philadelphia Stock Exchange (PHLX) Gold/Silver Sector Index XAU.....	47
TECDAX ინდექსი / TECDAX INDEX.....	47
ფილადელფიის საფონდო ბირჟის ნახევარგამტარების სექტორის ინდექსი (SOX SM) / The PHLX Semiconductor Sector Index SM.....	47
Euronext Amsterdam ინდექსები / Euronext Amsterdam Indices	47
იტალიის საფონდო ბირჟის ინდექსები / Borsa Italiana Indices	48
რეიტინგები.....	49
STANDARD&POOR’S გლობალური რეიტინგები / STANDARD&POOR’S GLOBAL RATINGS	49
Moody’s რეიტინგები / Moody’s RATINGS	49
FITCH რეიტინგები / FITCH RATINGS	49
A.M. Best სარეიტინგო სერვისები / A.M. Best Rating Services	49
DBRS MORNINGSTAR რეიტინგები / DBRS MORNINGSTAR RATINGS	50
სარეიტინგო კომპანია Egan-Jones/ Egan-Jones Ratings Company	50
სარეიტინგო სააგენტო KROLL BOND / KBRA- KROLL BOND RATING AGENCY.....	50
იაპონიის საკრედიტო სარეიტინგო სააგენტო / JCR- Japan credit rating agency.....	51
HR რეიტინგები / HR Ratings	51
ჟურნალ “ FORTUNE”-ის რანგირება / FORTUNE RANKINGS	51
ევროპის პალატა - ევროპის საუკეთესო ქვეყნები ბიზნესისთვის / European Chamber - Best European Countries for Business	51
გაეროს დეპარტამენტი ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში. ელექტრონული მთავრობის მიმოხილვა / UNITED NATIONS DEPARTMENT OF ECONOMICS AND SOCIAL AFFAIRS – UN DESA. E-GOVERNMENT SURVEY.....	52

Times უმაღლესი განათლება- მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგები / Times Higher Education-THE- World University Rankings.....	52
QS მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგები / QS World University Rankings.....	52
მსოფლიო უნივერსიტეტების აკადემიური რანგირება - ARWU / Academic Ranking of World Universities - ARWU	53
ჟურნალ "THE FORBES"-ის რანგირების ცნობარი / THE FORBES RANKING LIST DIRECTORY	53
"FREEDOM HOUSE" - თავისუფლება მსოფლიოში ანგარიში / FREEDOM HOUSE - Freedom in the World Report	53
მსოფლიო ბანკი- ბიზნესის კეთება / THE WORLD BANK - DOING BUSINESS	54
მსოფლიო კონკურენტუნარიანობის შეფასების (რანგირების) ყოველწლიური გამოცემა / THE WORLD COMPETITIVENESS YEARBOOK RANKING	54
ამერიკული მედია კომპანია "ახალი ამბები და მსოფლიო ანგარიში" - რეიტინგი / U.S. News & World Report Ratings	54
გამომცემლობა "FINANCIAL TIMES"-ის რეიტინგები / THE FINANCIAL TIMES RANKINGS	55
Brand Finance Brandirectory მონაცემთა ბაზა / Brand Finance Brandirectory Database.....	55
The RepTrak Company- Global RepTrak 2022 რეიტინგი / The RepTrak Company - Global RepTrak 2022 Rating.....	55
The RepTrak Company- "Country RepTrak" რეიტინგი / The RepTrak Company -"Country RepTrak" Rating	56
Comparably რეიტინგები / Comparably Ratings.....	56
ცხრილების შედგენისას გამოყენებული წყაროები:	57

შესავალი

მონაცემთა მეცნიერება დღეს ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და მოთხოვნადი მეცნიერებაა. სტატისტიკური მონაცემები, ინდექსები და რეიტინგები ხშირად გამოიყენება საერთაშორისო კვლევებში და გვაძლევს საერთაშორისო მოვლენების შეფასებისა და ანალიზის შესაძლებლობას. ცნობილი გახდა გამოთქმა "მონაცემები ახალი ნავთობია" და რომელთა დამუშავებისა და სწორად გამოყენების გარეშე შეუძლებელია გლობალურ სამყაროში გახდეს კონკურენტუნარიანი და მიაღწიოს წარმატებას.

დღეს საერთაშორისო და ეროვნული სტატისტიკური მონაცემთა ბაზები მოიცავს გლობალური და რეგიონული განვითარების ყველა ასპექტს. ამ სტატისტიკური მაჩვენებლების წყაროდ გვევლინება საერთაშორისო უნივერსალური, რეგიონული და ეროვნული ორგანიზაციები. ამასთან, საერთაშორისო კვლევებისთვის და ანალიზისთვის აგრეთვე მნიშვნელოვანია გლობალური ინდექსები და რეიტინგები.

2020 წელს, დიპლომატიურმა ინსტიტუტმა გამოაქვეყნა პუბლიკაცია „მონაცემთა გზამკვლევი გლობალური განვითარების რაკურსში“ (ავტორები მიხეილ უკლება, ნუკრი თავაძე), რომელიც მოიცავდა 140 სტატისტიკურ წყაროს, ინდექსსა და რეიტინგს, მათ შორის: 50 სტატისტიკური წყაროს, 65 ინდექსს და 25 რეიტინგს. მოცემული ნაშრომის ავტორებმა დაპირებისამებრ დღეისათვის განაახლეს პუბლიკაცია, რომელიც უკვე მოიცავს 169 სტატისტიკურ წყაროს, ინდექსს და რეიტინგს.

„მონაცემთა გზამკვლევი გლობალური განვითარების რაკურსში“ იძლევა მოცემულ წყაროებთან დაკავშირებისა და მონაცემების გადმოტვირთვის საშუალებას ინგლისურ ენაზე. მონაცემთა გზამკვლევი განთავსდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური ინსტიტუტის ოფიციალურ ვებ გვერდზე და გაგრძელდება პერიოდულად მისი განახლება.

სახელწოდება	ანოტაცია
1. გაეროს სტატისტიკა / UNITED NATIONS STATISTICS	გაეროს სტატისტიკის სამმართველოს მთავარი ფუნქციებია: სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება. ამასთან, გაეროს სტატისტიკის სამმართველო ამუშავებს და ავრცელებს გლობალურ სტატისტიკურ ინფორმაციას და მხარს უჭერს გაეროს წევრი ქვეყნების მცდელობას გააძლიერონ თავიანთი ეროვნული სტატისტიკური სისტემები. გაეროს სტატისტიკის სამმართველო მოიცავს გლობალური და ეროვნული დონის მონაცემებს და რეგულარულად აქვეყნებს განახლებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, მათ შორის: "Statistical Yearbook" და "World Statistics Pocketbook", ასევე წიგნებსა და სტატისტიკურ ანგარიშებს. წყარო: https://unstats.un.org/home/
2. მსოფლიო ბანკის მონაცემები/ THE WORLD BANK DATA	მსოფლიო ბანკი კოორდინირებას უწევს სტატისტიკური მონაცემების დამუშავებასა და მათ შენახვას. სტატისტიკური მონაცემების დიდი ნაწილის წყაროს წარმოადგენს წევრი ქვეყნების სტატისტიკური სამსახურები. მსოფლიო ბანკის მონაცემები გვთავაზობს წლების მიხედვით, ქვეყნების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას და ეხება მსოფლიო განვითარების პრაქტიკულად ყველა ასპექტს. აღსანიშნავია, რომ მსოფლიო ბანკის წევრია 189 ქვეყანა. წყარო: https://data.worldbank.org/
3. საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტატისტიკა / IMF - INTERNATIONAL MONETARY FUND STATISTICS	სტატისტიკა მოიცავს მონაცემებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის სესხების, გაცვლითი კურსების, სხვადასხვა ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლების შესახებ. ასევე ხელმისაწვდომია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წევრი 189 ქვეყნისა და ზოგადად სტატისტიკური საზოგადოების შესახებ სტატისტიკური მასალები, სახელმძღვანელოები, კატალოგები და სხვა. წყარო: https://www.imf.org/en/Data

4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკა და მონაცემთა ბაზები / ILO - INTERNATIONAL LABOUR ORGANIZATION STATISTICS AND DATABASES	შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტატისტიკა და მონაცემთა ბაზები შრომის სტატისტიკის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს და ქმნის საერთაშორისო სტანდარტებს შრომითი პროცესის უკეთ წარმართვისთვის და მოიცავს სრულ, აქტუალურ და შესადარებელ შრომის სტატისტიკებს. წყარო: https://www.ilo.org/global/statistics-and-databases/lang--en/index.htm
5. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სტატისტიკა / WTO - WORLD TRADE ORGANIZATION STATISTICS	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია გვთავაზობს ეკონომიკური და სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზები და პუბლიკაციები გვაწვდის მონაცემებს სავაჭრო ნაკადების, ტარიფების, არასატარიფო ღონისძიებების შესახებ და სხვა. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია მოიცავს შემდეგ სტატისტიკებს: საქონლით ვაჭრობის სტატისტიკა მოიცავს საქონლით ვაჭრობის შესახებ მნიშვნელოვან სტატისტიკურ ინფორმაციას. ასევე წარმოდგენილია საქონლის ექსპორტისა და იმპორტის შესახებ მონაცემები, როგორც საერთაშორისო, ისე თითოეული ქვეყნის მიხედვით. მომსახურებით ვაჭრობის სტატისტიკა მოიცავს მნიშვნელოვან სტატისტიკურ ინფორმაციას მომსახურებით ვაჭრობის შესახებ, მათ შორის მონაცემებს სავაჭრო პოლიტიკის შესახებ და სხვა. წყარო: https://stats.wto.org/
6. გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის სტატისტიკა / UNCTAD STAT - UNITED NATIONS CONFERENCE ON TRADE AND DEVELOPMENT STATISTICS	გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენცია- UNCTAD აგროვებს, ამოწმებს და ამუშავებს ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან შეგროვებულ მონაცემთა ფართო სპექტრს. UNCTAD ქმნის 150-ზე მეტ ინდიკატორს, რომლებიც აუცილებელია მოცემული საკითხების ანალიზისთვის და ეხება: საერთაშორისო ვაჭრობა, ეკონომიკური ტენდენციები, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გარე ფინანსური რესურსები, მოსახლეობა და სამუშაო ძალა, ინფორმაციული ეკონომიკა, საზღვაო ტრანსპორტი და სხვა. წყარო: https://unctad.org/statistics

7. გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის სტატისტიკა / UNIDO - UNITED NATIONS INDUSTRIAL DEVELOPMENT ORGANIZATION STATISTICS	UNIDO-გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის სტატისტიკა უნიკალურ როლს ასრულებს საერთაშორისო სტატისტიკურ სისტემაში. იგი ქმნის საერთაშორისო სამრეწველო სტატისტიკურ ბაზებს სხვადასხვა დონეზე. გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის სტატისტიკური პროდუქტის გავრცელება ხდება სამრეწველო სტატისტიკების ყოველწლიური გამოცემების, INDSTAT4, INDSTAT2, MINSTAT, MVA და IDSB მონაცემთა ბაზების საშუალებით. ისინი გვთავაზობენ სტატისტიკურ ინფორმაციას ეროვნული მთავრობების, საერთაშორისო პარტნიორების, აკადემიური კვლევითი ინსტიტუტებისა და ბიზნეს საზოგადოების შესახებ. წყარო: https://stat.unido.org/
8. გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სტატისტიკა / UNHCR - THE UN REFUGEE AGENCY STATISTICS	გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სტატისტიკა აგროვებს ყოველწლიურ სტატისტიკურ მონაცემებს იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ, თითქმის 70 წლის განმავლობაში. სტატისტიკა მოიცავს გადაადგილებული მოსახლეობის (ლტოლვილები, თავშესაფრის მაძიებლები და იძულებით გადაადგილებული პირები) შესახებ დემოგრაფიულ მონაცემებს. სტატისტიკა ასევე მოიცავს მოქალაქეობის არმქონე პირებსაც, რომელთა უმეტესობა არასდროს ყოფილა დევნილი. მონაცემთა ბაზა ასევე ასახავს იძულებით გადაადგილებულ პირებთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის გადაწყვეტილებებს, როგორიცაა რეპატრიაცია ან განსახლება. წყარო: https://www.unhcr.org/refugee-statistics/
9. გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა / FAO – FOOD AND AGRICULTURAL ORGANIZATION OF THE UNITED NATIONS STATISTICS	გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის სტატისტიკა მოიცავს 245 ქვეყნისა და ტერიტორიის სტატისტიკურ მონაცემებს სოფლის მეურნეობისა და მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის შესახებ, მათ შორის ინფორმაციას მოსავლიანობის, მეცხოველეობის და სატყეო სექტორის შესახებ 1961 წლიდან დღემდე. წყარო: https://www.fao.org/statistics/en/

10. გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს მონაცემები / UNODC - UNITED NATIONS OFFICE ON DRUGS AND CRIME DATA	გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიურო რეგულარულად გვთავაზობს გლობალურ სტატისტიკურ მონაცემებს დანაშაულის, სისხლის სამართლის, ნარკოტრეფიკის და ფასების, ნარკოსაშუალებების წარმოებისა და ნარკომანიის შესახებ. UNODC-ის მიერ წარმოებულ მონაცემებს მრავალი წყარო აქვს. წევრი სახელმწიფოები რეგულარულად წარუდგენენ UNODC-ს სტატისტიკურ ინფორმაციას ნარკომანიისა და დანაშაულის შესახებ (სისხლის სამართალი). UNODC ასევე იყენებს სამეცნიერო მეთოდებს რეგიონალური და გლობალური სტატისტიკური მონაცემების მაქსიმალური შედარებისა და შეფასებისთვის. წყარო: https://www.unodc.org/unodc/en/data-and-analysis/statistics/data.html
11. გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის სტატისტიკური მონაცემები / UNWTO – WORLD TOURISM ORGANIZATION STATISTICAL DATA	UNWTO სისტემატიურად აგროვებს ტურიზმის სტატისტიკას მსოფლიოს ქვეყნებიდან და ტერიტორიებიდან უზარმაზარ მონაცემთა ბაზაში, რომელიც წარმოადგენს ყველაზე სრულ სტატისტიკურ მონაცემებს ტურიზმის სფეროზე. წყარო: https://www.unwto.org/statistics
12. გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაციის იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი / UNESCO – THE UNITED NATIONS EDUCATIONAL, SCIENTIFIC AND CULTURAL ORGANIZATION. UIS-UNESCO INSTITUTE FOR STATISTICS	იუნესკოს სტატისტიკის ინსტიტუტი (UIS) არის საერთაშორისო დონეზე შესადარებელი მონაცემების ოფიციალური და სანდო წყარო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და კომუნიკაციების შესახებ. UIS უზრუნველყოფს მონაცემებზე წვდომას იუნესკოს 193 წევრი ქვეყნისა და რეგიონული ჯგუფების შესახებ 1970 წლიდან დღემდე. UNESCO-ს ოფიციალური სტატისტიკური სააგენტო-UIS ქმნის მონაცემთა თანამედროვე ფართო ბაზებს პოლიტიკისა და ინვესტიციების სტიმულირებისთვის, რომლებიც საჭიროა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისა და მსოფლიოს განვითარების მიზნების მისაღწევად. წყარო: http://uis.unesco.org/
13. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემები / UNICEF - UNITED NATIONS CHILDREN'S FUND DATA	UNITED NATIONS CHILDREN'S FUND DATA არის ბავშვთა შესახებ გლობალურ მონაცემთა აკუმულაციის ცენტრი, რომელიც ახდენს როგორც ქვეყნების, ისე რეგიონების მიხედვით ბავშვთა და ქალთა მდგომარეობის ვითარების შესახებ სანდო სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას, გადამოწმებას, ანალიზს, გამოყენებას და გადაცემას. წყარო: https://data.unicef.org/

14. გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეგისტრი / UNROCA UN REGISTER OF CONVENTIONAL ARMS	გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეგისტრი მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს მსოფლიოს 170-ზე მეტი სახელმწიფოს შესახებ 1991 წლიდან. UNROCA მოიცავს იარაღით გლობალური ვაჭრობის შესახებ მონაცემების 90%-ს. წყარო: https://www.unroca.org/
15. გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის წლიური ანგარიში / UNFCCC – UNITED NATIONS FRAMEWORK CONVENTION ON CLIMATE CHANGE ANNUAL REPORT	გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ყოველწლიური ანგარიში ასახავს UNFCCC-ის პროცესისა და საქმიანობის მნიშვნელოვან მიღწევებს, განსაკუთრებით მათ გავლენას კონვენციის, კიოტოს პროტოკოლისა და პარიზის შეთანხმების განხორციელებასთან დაკავშირებით. კონვენციის მიზანია ატმოსფეროში სათბური აირების კონცენტრაციის დაყვანა იმ დონემდე (კონვენციის მიერ მოთხოვნილ ჩარჩოებში), რათა გამოირიცხოს კლიმატზე ანთროპოგენური ზეგავლენა. კონვენცია აღიარებს მონაწილე მხარეთა ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებს, თუმცა ქვეყნებისგან ითხოვს კლიმატური სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფისათვის ზომების გატარებას. ამისთვის მხარეებმა უნდა განახორციელონ წინასწარი ღონისძიებები, რათა მინიმუმამდე დაიყვანონ კლიმატის ცვლილების არახელსაყრელი შედეგები. მოიცავს როგორც ქვეყნების ჯგუფების, ასევე ცალკეული ქვეყნების მიერ სათბური აირების გამოყოფის შესახებ მონაცემებს. წყარო: https://unfccc.int/annualreport
16. გაეროს ციფრული ბიბლიოთეკა / UNITED NATIONS DIGITAL LIBRARY	გაეროს ციფრული ბიბლიოთეკა სრულად მოიცავს გაეროს დოკუმენტებს, ხმის მიცემის შედეგებს, ოფიციალურ გამოსვლებს, რუქებს და ღია დაშვების პუბლიკაციებს. წყარო: https://digitallibrary.un.org/
17. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკა / WHO - WORLD HEALTH ORGANIZATION STATISTICS	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკა წარმოადგენს ყოველწლიურ ანგარიშს და ბოლო, 2020 წლის ანგარიში მოიცავს 194 წევრი სახელმწიფოს ჯანდაცვის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს. წყარო: https://www.who.int/data/gho/publications/world-health-statistics

18. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკა / WIPO - WORLD INTELLECTUAL PROPERTY ORGANIZATION STATISTICS	ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკა მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია მსოფლიოში პოლიტიკის, ბიზნესის და ტექნოლოგიების სფეროებში მიმდინარე ტენდენციების გაგებისთვის. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკა მოიცავს შემდეგ მონაცემებს: პატენტების და სასარგებლო მოდელების სტატისტიკა, სავაჭრო ნიშნების სტატისტიკა და სამრეწველო დიზაინის სტატისტიკა. წყარო: https://www.wipo.int/ipstats/en/
19. ევროსტატი- ევროპული სტატისტიკა / EUROSTAT- EUROPEAN STATISTICS	Eurostat ევროკავშირის სტატისტიკის ოფისი უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ევროპის სტატისტიკისა და ინდიკატორების გამოქვეყნებას, რაც 27 წევრი ქვეყნისა და რეგიონების შედარების საშუალებას იძლევა. მისი ოფისი მდებარეობს ლუქსემბურგში. წყარო: https://ec.europa.eu/eurostat
20. ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სტატისტიკა / ORGANIZATION FOR ECONOMIC CO-OPERATION AND DEVELOPMENT. OECD STATISTICS	ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის სტატისტიკა მოიცავს ორგანიზაციის 37 წევრი და რიგი ქვეყნების ზოგადი და ყველა სფეროს (ფინანსები, განვითარება, დემოგრაფია და მოსახლეობა, რეგიონები და ქალაქები, მეცნიერება, ტექნოლოგია, სოციალური დაცვა, ტრანსპორტი და სხვა) მიხედვით სტატისტიკურ მონაცემებს. წყარო: https://stats.oecd.org/
21. ნატო - ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის სტატისტიკა / NATO - NORTH ATLANTIC TREATY ORGANIZATION'S STATISTICS	ნატო ყოველწლიურად აქვეყნებს მისი წევრი 30 ქვეყნის ფინანსური, ეკონომიკური და პერსონალის შესახებ მონაცემებს 1949 წლიდან დღემდე. მოიცავს ქვეყნების თავდაცვაზე გაწეული ხარჯების შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას. ასევე წარმოდგენილია ცხრილები, რომელიც მოიცავს ნატო-ს თავდაცვის ფინანსური და ეკონომიკური ასპექტების შესახებ მნიშვნელოვან ინდიკატორებს, მათ შორის: • მთლიანი თავდაცვის ხარჯები • თავდაცვის ხარჯები და მშპ-ის ზრდის ტემპი • თავდაცვის ხარჯების პროცენტული წილი მშპ-სთან მიმართებაში • თავდაცვის ხარჯები და მშპ ერთ სულ მოსახლეზე • თავდაცვის ხარჯები კატეგორიების მიხედვით • შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა. წყარო: https://www.nato.int/cps/en/natohq/index.htm

22. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წლიური მიმოხილვა / EBRD - EUROPEAN BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT ANNUAL REVIEW	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წლიური მიმოხილვა მოიცავს 38 ეკონომიკის და რეგიონების მიხედვით მაკროეკონომიკური სიტუაციის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს და ამ ქვეყნების ეკონომიკაში მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებს, სადაც ბანკი ახორციელებს თავის საქმიანობას. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დაარსებულია 1991 წელს და მოქმედებს ყველა მისი აქციონერის- 69 ქვეყნის, აგრეთვე ევროკავშირისა და ევროპული საინვესტიციო ბანკის ინტერესების გათვალისწინებით. წყარო: https://www.ebrd.com/news/publications/annual-report/annual-review-2020.html
23. სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის მონაცემთა ბაზა / STOCKHOLM INTERNATIONAL PEACE RESEARCH INSTITUTE SIPRI - DATABASE	სტოკჰოლმის საერთაშორისო მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის მონაცემთა ბაზა მოიცავს: 1.SIPRI Arms Transfers Database- მოიცავს მონაცემებს ჩვეულებრივი შეიარაღების საერთაშორისო მიწოდების შესახებ 1950 წლიდან და წარმოადგენს ჩვეულებრივი შეიარაღების საერთაშორისო მიწოდების შესახებ ინფორმაციის ყველაზე სრულ და ხელმისაწვდომ წყაროს. 2.SIPRI Mapping ATT-Relevant Cooperation and Assistance Activities Database- მონაცემთა ბაზაში მოცემულია ინფორმაცია იარაღის, ცეცხლსასროლი და მსუბუქი იარაღის კონტროლის სფეროში თანამშრომლობისა და დახმარების ღონისძიებების შესახებ. 3. SIPRI Arms Industry Database- მოიცავს ინფორმაციას იარაღის მწარმოებელი 100 უმსხვილესი კომპანიის და მათ მიერ განხორციელებული სერვისების შესახებ. 4. SIPRI Multilateral Peace Operations Database- მონაცემთა ბაზა წარმოადგენს ინფორმაციას 2000 წლიდან ჩატარებული მრავალმხრივი სამშვიდობო ოპერაციების შესახებ, მათ შორის სტატისტიკას პერსონალის, ქვეყნების შენატანის, დაღუპულებისა და ბიუჯეტების შესახებ. 5. SIPRI Military Expenditure Database- გვთავაზობს ქვეყნების მიერ გაწეული სამხედრო ხარჯების შესახებ ყოველწლიურ მონაცემებს 1949 წლიდან, რაც იძლევა ქვეყნების შედარების საშუალებას. წყარო: https://www.sipri.org/databases

24. GAPMINDER -ის სტატისტიკა / GAPMINDER STATISTICS	Gapminder არის დამოუკიდებელი შვედური ფონდი, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური კუთვნილება. Gapminder თანამშრომლობს გაეროსთან, უნივერსიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა. ახდენს მონაცემთა ვიზუალიზაციას, რათა საშუალება მისცეს დაინტერესებულ პირებს უკეთ გაიგონ გლობალური სტატისტიკა. Gapminder გვთავაზობს ფაქტებზე დაფუძნებულ მსოფლიო მიმოხილვებს. წყარო: https://www.gapminder.org/
25. INDEXMUNDI-ის სტატისტიკა / INDEXMUNDI STATISTICS	IndexMundi-ის სტატისტიკა შეიცავს ქვეყნების შესახებ დეტალურ სტატისტიკას, სქემებსა და რუკებს, რომლებიც რამდენიმე წყაროდანაა შედგენილი. სტატისტიკა რეგიონის, ქვეყნის, თემების, ინდუსტრიის და ტიპის მიხედვით ათასობით ინდიკატორის ანალიზისა და კვლევის საშუალებას გვაძლევს. წყარო: https://www.indexmundi.com/
26. ინტერ - ამერიკის განვითარების ბანკის მონაცემები / IDB - INTER-AMERICAN DEVELOPMENT BANK DATA	ინტერ-ამერიკის განვითარების ბანკის სტატისტიკა მოიცავს ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური განვითარების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს. ინტერ-ამერიკის განვითარების ბანკი წარმოადგენს დაფინანსებისა და შეფასების უმნიშვნელოვანეს წყაროს ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების მდგრადი ეკონომიკური, სოციალური და ინსტიტუციონალური განვითარებისთვის. ინტერ-ამერიკის განვითარების ბანკის მონაცემები საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ ქვეყნების განვითარების ძირითადი ინდიკატორები, რომელიც დაკავშირებულია მათ მაკროეკონომიკურ პროფილთან, გლობალურ ინტეგრაციასა და სოციალურ პერსპექტივებთან. მონაცემები ქვეყნებისა და რეგიონის საშუალო მაჩვენებლების მნიშვნელობის შედარების საშუალებას იძლევა. ინტერ-ამერიკის განვითარების ბანკი აქვეყნებს შემდეგ მნიშვნელოვან ანგარიშებს: Annual Report, Social Pulse, Development Effectiveness Overview, Development in the Americas (DIA), Macroeconomic Report, Sustainability Report და სხვა. ბანკი დაარსებულია 1959 წელს და მისი წევრია 48 ქვეყანა. წყარო: https://data.iadb.org/

27. მსუბუქი შეიარაღება და საბრძოლო მასალები- იმპორტი & ექსპორტი / SMALL ARMS AND AMMUNITION- IMPORTS & EXPORTS	მსუბუქი შეიარაღება და საბრძოლო მასალები- იმპორტი & ექსპორტი- მონაცემთა ვიზუალიზაციის რუქა შექმნილია Google-ის მიერ "Igarape Institute"-ის მხარდაჭერით და "PEACE Research Institute"-ის მიერ მიწოდებულ მონაცემთა ბაზის საშუალებით. მონაცემთა ვიზუალიზაციის რუქა მოიცავს 250 ქვეყანასა და ტერიტორიაზე მსუბუქი შეიარაღებისა და საბრძოლო მასალების იმპორტის და ექსპორტის შესახებ 1 მილიონზე მეტ მონაცემს. წყარო: https://armsglobe.chromeexperiments.com/
28. აშშ-ს ცენტრალური დაზვერვის სააგენტო - მსოფლიო ფაქტების წიგნი / CIA - CENTRAL INTELLIGENCE AGENCY THE WORLD FACTBOOK	მსოფლიო ფაქტების წიგნში მოცემულია ინფორმაცია 267 მსოფლიო სუბიექტის ისტორიის, ხალხისა და საზოგადოების, მთავრობის, ეკონომიკის, ენერგეტიკის, გეოგრაფიის, კომუნიკაციების, ტრანსპორტის, სამხედრო და ტრანსნაციონალური საკითხების შესახებ. მოიცავს მსოფლიოს, რეგიონების, ქვეყნების, ოკეანეებისა და დროის ზონების რუქებს. მსოფლიო ფაქტების წიგნი გვამწვანებს ქვეყნების შედარების საშუალებას, რომელიც ახდენს ქვეყნების ინფორმაციებისა და მონაცემების რანგირებას. წყარო: https://www.cia.gov/the-world-factbook/
29. საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს მონაცემები და სტატისტიკა / IEA INTERNATIONAL ENERGY AGENCY DATA AND STATISTICS	საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო აგროვებს, აფასებს და ავრცელებს სტატისტიკას ენერგიის მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ, რომელიც შედის ენერგიის ნაშთებში. გარდა ამისა, ენერგეტიკის მონაცემთა ცენტრმა შეიმუშავა ენერგიასთან დაკავშირებული უამრავი სხვა მნიშვნელოვანი ინდიკატორი, მათ შორის ენერგიის ფასები, ენერგოეფექტურობის საზომები და სხვა. წყარო: https://www.iea.org/data-and-statistics
30. მსოფლიო ფასეულობათა მიმოხილვის მონაცემთა ბაზა / WVS – WORLD VALUES SURVEY DATABASE	მსოფლიო ფასეულობათა მიმოხილვის მონაცემთა ბაზა არის სოციოლოგთა გლობალური ქსელი, რომელიც სწავლობს ცვალებად ფასეულობებს და მათ გავლენას სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. აღნიშნული პროექტი მოქმედებს 1981 წლიდან და მიიჩნევა ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მიმოხილვად მსოფლიოში. წყარო: https://www.worldvaluessurvey.org/wvs.jsp

31. GOOGLE-ის საჯარო მონაცემები / GOOGLE PUBLIC DATA	Google Public Data უზრუნველყოფს საჯაროდ ხელმისაწვდომ მონაცემებსა და პროგნოზებს, რომლებიც წარმოდგენილია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაციისა და აკადემიური ინსტიტუტის, მათ შორის მსოფლიო ბანკის, OECD, Eurostat და დენვერის უნივერსიტეტის მიერ. წყარო: https://www.google.com/publicdata/directory
32. კომპანია "British Petroleum" სტატისტიკური მიმოხილვა / BP – THE BRITISH PETROLEUM COMPANY STATISTICAL REVIEW	კომპანია „British Petroleum“-ის ყოველწლიური სტატისტიკური მიმოხილვა მოიცავს სტატისტიკურ მონაცემებს ნავთობის, ბუნებრივი აირის, ქვანახშირის მარაგების, ფასების, რეზერვებისა და მოხმარების შესახებ, ასევე ინფორმაციას ბირთვული ენერგიის, ჰიდრო ენერგიის, განახლებადი ენერგიის და სხვა წყაროების შესახებ. წყარო: https://www.bp.com/en/global/corporate/energy-economics/statistical-review-of-world-energy.html
33. ევროპის ცენტრალური ბანკის სტატისტიკა / EUROPEAN CENTRAL BANK STATISTICS	ევროპის ცენტრალური ბანკის სტატისტიკა მოიცავს შემდეგ სტატისტიკურ მონაცემებს: მაკროეკონომიკური და სექტორული სტატისტიკა, საგადასახადო სტატისტიკა, ფინანსური ბაზრების და საპროცენტო განაკვეთის სტატისტიკა, ფინანსური კორპორაციების სტატისტიკა და სხვა. ევროპის ცენტრალური ბანკის წევრია ევროკავშირის 19 წევრი (ევროზონა) ქვეყანა. ბანკი დაარსდა 1998 წელს. წყარო: https://www.ecb.europa.eu/stats/html/index.en.html
34. აშშ შრომის ბიუროს სტატისტიკა / U.S. BUREAU OF LABOUR STATISTICS	აშშ-ს შრომის ბიუროს სტატისტიკა აფასებს შრომის ბაზრის საქმიანობას, სამუშაო პირობებს, ფასების ცვლილებას და პროდუქტიულობას აშშ-ს ეკონომიკაში, რათა ხელი შეუწყოს საჯარო და კერძო გადაწყვეტილების მიღებას. ასევე მოიცავს შრომითი საერთაშორისო რესურსების შედარებისა და ეკონომიკური მაჩვენებლების მონაცემებს. წყარო: https://www.bls.gov/
35. აზიის განვითარების ბანკის მონაცემები და სტატისტიკა / ADB - ASIAN DEVELOPMENT BANK DATA AND STATISTICS	აზიის განვითარების ბანკი ახორციელებს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის შესახებ მონაცემების შეგროვებას და სტატისტიკურ ანალიზს, რაც ხელს უწყობს ცოდნის დაგროვებას, ინსტიტუციურ გაძლიერებას. ბანკი დაარსდა 1966 წელს და მოიცავს 68 წევრი ქვეყნის (მათ შორის 49 განლაგებულია რეგიონში) შესახებ ეკონომიკურ, ფინანსურ, კორპორატიულ მონაცემებს, სოციალურ სტატისტიკას და სხვა. აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოქვეყნდა პუბლიკაცია

	“Basic Statistics 2020”, რომელიც წარმოადგენს განვითარების მაჩვენებლებს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის 46 ქვეყნისთვის, მათ შორის მონაცემებს ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური ინდიკატორების შესახებ. წყარო: https://www.adb.org/what-we-do/data/main
36. საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის სტატისტიკა / BIS – THE BANK FOR INTERNATIONAL SETTLEMENTS STATISTICS	საერთაშორისო ანგარიშსწორების ბანკის სტატისტიკა წარმოადგენს რიგ სტატისტიკურ მონაცემებს საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის, გლობალური ლიკვიდურობის და საბანკო საქმიანობის შესახებ, მათ შორის: International banking statistics, Debt securities statistics, Credit statistics, Derivatives statistics, Foreign exchange statistics, Property price statistics, Payments and financial market infrastructures statistics და სხვა. . წყარო: https://www.bis.org/
37. საერთაშორისო გაზის კავშირის წლიური ანგარიში / IGU - INTERNATIONAL GAS UNION ANNUAL REPORT	საერთაშორისო გაზის კავშირის წლიური ანგარიში მოიცავს სრულ ინფორმაციას გაზის სფეროს შესახებ. საერთაშორისო გაზის კავშირი დაარსებულია 1931 წელს. გაზის კავშირის წევრ 160-ზე მეტ კორპორაციასა და ასოციაციაზე მოდის გაზის გლობალური ბაზრის წილის დაახლოებით 95%-ზე მეტი. საერთაშორისო გაზის კავშირი აქვეყნებს ყოველწლიურ ანგარიშებს და მიმოხილვებს. წყარო: https://www.igu.org/
38. საერთაშორისო გაზის კავშირის ენერგეტიკის სტატისტიკა / IGU - INTERNATIONAL GAS UNION ENERGY STATISTICS	საერთაშორისო გაზის კავშირის ენერგეტიკის სტატისტიკა წარმოადგენს ერთგვარ ენერგეტიკულ გზამკვლევს, რომელიც იძლევა საერთაშორისო ენერგეტიკის სფეროში არსებული წყაროებისადმი პირდაპირი წვდომის საშუალებას, რომელთა შორისაა: BP Statistical Review of World Energy, CEDIGAZ, DTI Energy, EIA Natural Gas, EUROSTAT, International Energy Agency (IEA), World Energy Outlook, IEA on-line bookshop, Statistik der Kohlenwirtschaft e.V., UNECE Statistics, United Nations Statistics Division, The World Factbook, American Petroleum Institute. წყარო: https://www.igu.org/
39. CEDIGAZ მონაცემთა ბაზები / CEDIGAZ DATABASES	თითქმის 60 წლიანი გამოცდილების გათვალისწინებით, CEDIGAZ-ის მონაცემთა ბაზები ფართოდ არის აღიარებული, როგორც სანდო ინფორმაციის წყარო გაზის ანალიტიკოსების, საერთაშორისო ორგანიზაციების, როგორცაა ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (IEA), ნავთობპროდუქტების ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია (OPEC) და სხვა.

	CEDIGAZ მონაცემთა ბაზა იძლევა დეტალური და ზუსტი მონაცემების მიღების საშუალებას და ასევე გვებმარება ბაზრის მდგომარეობის უკეთ გააზრებაში. წყარო: https://www.cedigaz.org/databases/
40. საერთაშორისო ალუმინის ინსტიტუტის მსოფლიო ალუმინის სტატისტიკები / IAI - INTERNATIONAL ALUMINIUM INSTITUTE WORLD ALUMINIUM STATISTICS	მსოფლიო ალუმინის სტატისტიკები მოიცავს სრულ სტატისტიკურ მონაცემებს ალუმინის წარმოების შესახებ მსოფლიოს რეგიონების მიხედვით. მსოფლიო ალუმინის სტატისტიკური ანგარიში შედგენილია IAI-ს წევრი და არაწევრი კომპანიების ნებაყოფლობით წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე. იგი ასევე მოიცავს შეფასებას არარეგისტრირებული წარმოების შესახებ. საერთაშორისო ალუმინის ინსტიტუტის მსოფლიო ალუმინის სტატისტიკები მოიცავს შემდეგ სტატისტიკებს: Primary Aluminium Production, Alumina Production, Primary Aluminium Smelting Energy Intensity, Workplace Accidents სხვა. ალუმინის ინსტიტუტი დააარსებულია 1972 წელს და მის წევრ ქვეყნებზე მოდის მსოფლიოში ბოქსიტებისა და ალუმინის წარმოების წილის დაახლოებით 60%. წყარო: https://international-aluminium.org/statistics/primary-aluminium-production/
41. მსოფლიო ფოლადის ასოციაციის სტატისტიკა / WSA - WORLD STEEL ASSOCIATION STATISTICS	მსოფლიო ფოლადის ასოციაციის სტატისტიკა მოიცავს 64 ქვეყნის მიერ ფოლადის წარმოების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს. დაარსდა 1967 წელს როგორც „რკინისა და ფოლადის ინსტიტუტი“, ხოლო 2008 წელს დაარსდა როგორც „მსოფლიო ფოლადის ასოციაცია“. ასოციაციის სტატისტიკა მოიცავს ფოლადის მწარმოებლებს, ეროვნულ და რეგიონულ სამრეწველო ასოციაციებს და კვლევით ინსტიტუტებს, რომლებზეც მოდის ფოლადის მსოფლიო წარმოების წილის 85%. მსოფლიო ფოლადის ასოციაცია აქვეყნებს 64 ქვეყნის მიერ ნედლი ფოლადის ყოველთვიური წარმოების მონაცემებს. წყარო: https://worldsteel.org/steel-by-topic/statistics/
42. სტანდარტული კულტურათაშორისი ნიმუშების მონაცემთა ბაზა / SCCS - THE STANDARD CROSS-CULTURAL SAMPLE DATA	სტანდარტული კულტურათაშორისი ნიმუშების მონაცემთა ბაზა შექმნილია „Cross-Cultural Cumulative Coding Center“-ის მიერ, რომელიც დაარსებულია 1968 წელს, პიტსბურგის უნივერსიტეტში. მონაცემთა ბაზა მოიცავს მსოფლიოს 186 კულტურის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას, რომელიც ფართოდ გამოიყენება საერთაშორისო ურთიერთობებში. წყარო:

43. მარცვლეულის საერთაშორისო საბჭოს მონაცემთა ბაზა / IGC - INTERNATIONAL GRAINS COUNCIL DATABASE	მარცვლეულის საერთაშორისო საბჭოს მონაცემთა ბაზა მოიცავს მარცვლეულის მსოფლიო ბაზრის შესახებ მონაცემებს, მათ შორის: წარმოების, მოთხოვნის და მიწოდების, გადაზიდვის ტარიფების, ფასების შესახებ და სხვა. წყარო: https://www.igc.int/en/default.aspx
44. FITCH SOLUTIONS -ის სამრეწველო კვლევა / FITCH SOLUTIONS INDUSTRY RESEARCH	Fitch Solutions-ის სამრეწველო კვლევა მოიცავს 22 სამრეწველო დარგისა და განვითარებული, განვითარებადი და მოსაზღვრე გლობალური ბაზრების შესახებ რეგულარულად განახლებად ინფორმაციას. წყარო: https://www.fitchsolutions.com/products/industry-research
45. უფსალას უნივერსიტეტის მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის დეპარტამენტი. უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა (UCDP) / UPPSALA UNIVERSITY DEPARTMENT OF PEACE AND CONFLICT RESEARCH THE UPPSALA CONFLICT DATA PROGRAM (UCDP)	უფსალას უნივერსიტეტის მშვიდობისა და კონფლიქტების კვლევის დეპარტამენტის უფსალას კონფლიქტის მონაცემთა პროგრამა (UCDP) მოიცავს მსოფლიოში სამოქალაქო ომების, კონფლიქტების და ორგანიზებული ძალადობის შესახებ მონაცემებს. წყარო: https://ucdp.uu.se/
46. ქვეყნის კომერციული გზამკვლევი / COUNTRY COMMERCIAL GUIDE	ქვეყნის კომერციულ გზამკვლევს (CCG) ყოველწლიურად ადგენენ აშშ-ს საელჩოები და რიგი სამთავრობო სააგენტოები. ეს მოხსენებები წარმოადგენს ყოვლისმომცველ ხედვას ქვეყნების სავაჭრო გარემოზე, ეკონომიკური, პოლიტიკური და ბაზრის ანალიზის გამოყენებით, რათა დაეხმარონ აშშ-ს კომპანიებს და რეზიდენტებს ამ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობების შემდგომ განვითარებაში. წყარო: https://www.trade.gov/ccg-landing-page
47. ადამიანთა ურთიერთობების არეალის დოსიე / HRAF – HUMAN RELATIONS AREA FILES	ადამიანთა ურთიერთობების არეალის დოსიეს (HRAF) მიზანია წარსულში და აწმყოში კულტურული მრავალფეროვნებისა და ფასეულობების გაგების ხელშეწყობა მსოფლიოს სხვადასხვა ხალხებსა და ეთნიკურ ჯგუფებს შორის. წყარო: https://hraf.yale.edu/

48. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაცია-წლიური სტატისტიკური ბიულეტენი / OPEC - ORGANIZATION OF THE PETROLEUM EXPORTING COUNTRIES – ANNUAL STATISTICAL BULLETIN	ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის წლიური სტატისტიკური ბიულეტენი მოიცავს მსოფლიოში ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის შესახებ სრულ მონაცემებს, რომელიც წარმოადგენს საიმედო ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს. ანგარიში შეიცავს დეტალურ და ყოვლისმომცველ მონაცემებს გლობალური ნავთობის წარმოების სხვადასხვა ასპექტების შესახებ, მათ შორის წარმოების, მოთხოვნის, იმპორტის და ექსპორტის, აგრეთვე საძიებო და სატრანსპორტო საქმიანობის შესახებ. აღსანიშნავია, რომ დღეს OPEC-ის წევრია 13 ქვეყანა. წყარო: https://www.opec.org/opec_web/en/publications/202.htm
49. აფრიკის განვითარების ბანკის ჯგუფის სტატისტიკა / AFDB - AFRICAN DEVELOPMENT BANK GROUP STATISTICS	აფრიკის განვითარების ბანკის ჯგუფი აფრიკის ქვეყნების შესახებ ყოველწლიურად აქვეყნებს სტატისტიკურ პუბლიკაციას -The African Statistical Yearbook. გარდა ამისა, აფრიკის განვითარების ბანკის ჯგუფი ასევე აქვეყნებს შემდეგ პუბლიკაციებს: სტატისტიკა ბანკის ჯგუფის ოპერაციების შესახებ (Compendium of Statistics on Bank Group Operations); აფრიკის ქვეყნების გენდერული, სიღარიბის და ეკოლოგიური(გარემო) მაჩვენებლები (Gender, Poverty and Environmental Indicators on African Countries) და სხვა. ბანკი დაარსდა 1964 წელს და მოიცავს 54 რეგიონულ და 26 არა რეგიონულ ქვეყანას. წყარო: https://www.afdb.org/en
50. ბრინჯის საერთაშორისო კვლევის ინსტიტუტის სტატისტიკა / IRRI - INTERNATIONAL RICE RESEARCH INSTITUTE STATISTICS	მოიცავს სრულ სტატისტიკურ მონაცემებს მსოფლიოში ბრინჯის წარმოების, მოხმარების, ექსპორტის, იმპორტის და ფასების შესახებ. წყარო: https://www.irri.org/
51. Worldometer სტატისტიკები/ Worldometer statistics	Worldometer-ს მართავს დეველოპერების, მკვლევარების და მოხალისეების საერთაშორისო გუნდი, რომლის მიზანია ხელმისაწვდომი გახადოს მსოფლიო სტატისტიკა ფართო აუდიტორიისთვის მთელს მსოფლიოში.

Worldometer მოიცავს სტატისტიკურ ინფორმაციას შემდეგი საკითხების ირგვლივ რეალურ დროში:

- მსოფლიოს მოსახლეობა;
- მმართველობა და ეკონომიკა;
- საზოგადოება და მედია;
- ბუნებრივი გარემო;
- საკვები;
- წყალი;
- ენერგეტიკული რესურსები;
- ჯანმრთელობა;
- კოვიდ სტატისტიკა;
- და სხვა.

წყარო: <https://www.worldometers.info/>

	სახელწოდება	ანოტაცია
1	ბლუმბერგის ინდექსები/ BLOOMBERG INDICES	ბლუმბერგი გლობალური ბიზნესის და ფინანსების შესახებ მონაცემების, ინფორმაციისა და სიახლეების მიწოდების მსოფლიო ლიდერია. ბლუმბერგის ინდექსები წარმოადგენენ ინოვაციურ ხედვას მსოფლიო ინდექსაციის ტრადიციულ სამყაროზე. ბლუმბერგის ინდექსები მოიცავს შემდეგ ინდექსებს: Bloomberg Barclays Indices, Bloomberg Equity Indices(Cap-Weighted, Factor-Weighted, ESG-Weighted, Optimized ESG), Bloomberg Commodity Index Family, The Bloomberg Galaxy Crypto Index, Bloomberg Currency Indices, Bloomberg Strategy Indices, Bloomberg SASB ESG Indices, Exchange-traded funds (ETFs), Bloomberg SASB ESG Indices და სხვა. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული ზოგიერთი ინდექსი ასევე მოიცავს ინდექსების ჯგუფს. ბლუმბერგი დაარსდა მაიკლ ბლუმბერგის მიერ 1981 წელს და შტაბ-ბინა განლაგებულია ნიუ-იორკში. წყარო: https://www.bloomberg.com/professional/product/indices/
2	TRACE მექრთამეობის რისკის მატრიცა / TRACE BRIBERY RISK MATRIX	კომპანია "Trace International"-ის მექრთამეობის (კორუფციის) მატრიცა შეიქმნა ანალიტიკურ ორგანიზაციასთან "Rend Corporation"-თან თანამშრომლობით 2014 წელს. "Trace International"-ის კორუფციის ანგარიში არის ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებული ინდექსი, რომელიც აფასებს მხოლოდ ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებულ პროცედურებსა და ნორმებს და არ განიხილავს მთლიანად საზოგადოებაში არსებულ ვითარებას. Trace მექრთამეობის რისკის მატრიცა აფასებს ბიზნესის სფეროში მექრთამეობის რისკს 200 ქვეყანაში, ტერიტორიასა და ავტონომიურ და ნახევრად ავტონომიურ რეგიონებში. შეფასება ხდება შემდეგი ფაქტორების მიხედვით: საქმიანი ურთიერთქმედება მთავრობასთან; მოსყიდვის საწინააღმდეგო ღონისძიებები და აღსრულება; მთავრობისა და საჯარო სამსახურის გამჭვირვალობა; სამოქალაქო საზოგადოების ზედამხედველობა, მედიის როლის ჩათვლით. წყარო: https://www.traceinternational.org/
3	არშემდგარი სახელმწიფოების ინდექსი / FRAGILE STATES INDEX	არშემდგარი(მყიფე) სახელმწიფოების ინდექსი აშშ-ს წამყვანი კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაციის "შშვიდობის ფონდის" (THE FUND OF PEACE) მიერ შექმნილი ინდექსია, რომელიც აჯამებს მთელი წლის მოვლენებს 12 სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ინდიკატორის გამოყენებით, რათა გააანალიზოს, თუ როგორ შეუწყვეს ხელი ან პირიქით ქვეყნებს ომებმა, სამშვიდობო შეთანხმებებმა, ბუნებრივმა კატასტროფებმა

		და პოლიტიკურმა მოძრაობებმა სტაბილურობისა ან კოლაფსის ზღვარზე. ინდექსი ახდენს 178 ქვეყნის რანგირებას. წყარო: https://fragilestatesindex.org/
4	გლობალური საცეცხლე სიძლიერე / GLOBAL FIRE POWER - GFP	Global Fire Power- GFP გვაწვდის უნიკალურ ანალიტიკურ მონაცემებს 138 სამხედრო ძალების შესახებ 2006 წლიდან. Global Fire Power-ის რეიტინგი ეფუძნება ქვეყნების პოტენციურ ომს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მისი შესაძლებლობები სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ბრძოლებში. შედეგები მოიცავენ შეფასებას დაკავშირებულს ადამიანურ ძალასთან, აღჭურვილობასთან, ბუნებრივ რესურსებთან, ფინანსებთან და გეოგრაფიასთან, რომლებიც წარმოდგენილია 50-ზე მეტი ინდივიდუალური ფაქტორით, რომელიც გამოიყენება საბოლოო GFP-ის რეიტინგების ფორმულირებისთვის. გვამღვს საინტერესო წარმოდგენას სულ უფრო მეტად არასტაბილური გლობალური ლანდშაფტის შესახებ, სადაც ომები თითქმის გარდაუვალ მოვლენად არის შეფასებული. Global Fire power მოიცავს შემდეგ რეიტინგებს: 2020 Military Strength Ranking, Middle East, Compare World Powers, Asia და სხვა. წყარო: https://www.globalfirepower.com/
5	გლობალური ქალაქების კონკურენტუნარიანობის ინდექსი / THE GLOBAL CITY COMPETITIVENESS INDEX	გლობალური ქალაქების კონკურენტუნარიანობის ინდექსი შემუშავებულია "The Economist Intelligent Unit"-ის და "Citigroup"-ის თანამშრომლობის საფუძველზე, რომელიც მოიცავს მსოფლიოს უმსხვილეს ქალაქებს და ზომავს მათ განვითარებასა და კონკურენტუნარიანობას, მათ შორის მათ შესაძლებლობას მოიზიდონ კაპიტალი, ბიზნესი, ნიჭი და ვიზიტორები. 2025 წლის ქალაქების კონკურენტუნარიანობის ინდექსი მსოფლიოს 120 ქალაქის კონკურენტუნარიანობას განსაზღვრავს დროის ორ სხვადასხვა მონაკვეთში: დღეს და 2025 წელს. წყარო: https://www.kearney.com/global-cities/2021
6	IMD SMART (ჭკვიანი) ქალაქის ინდექსი / IMD SMART CITY INDEX	მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ცენტრისა და სინგაპურის ტექნოლოგიისა და დიზაინის უნივერსიტეტის (Singapore University of Technology and Design -SUTD) პარტნიორობით 2019 წელს შეიქმნა IMD Smart City Index (IMD-მენეჯმენტის განვითარების საერთაშორისო ინსტიტუტი/International Institute for Management Development), რომელიც 102 ქალაქს მოიცავს მსოფლიოში. ახალი ინვესტიციებისა და ნიჭის მოსაზიდად, ქალაქებისთვის უმნიშვნელოვანესია გლობალურ „ჭკვიან“ ქალაქად აღიარება. გლობალური IMD Smart City Index 2019 ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ მოქალაქეები თავიანთი ქალაქების "ჭკვიანური" შესაძლებლობების მიღწევის მასშტაბებსა და გავლენას. წყარო: https://www.imd.org/research-knowledge/reports/imd-smart-city-index-2019/
7	გლობალური ქალაქების	გლობალური ქალაქების ინდექსი გვაწვდის მიმოხილვას მსოფლიო ქალაქების ამჟამინდელ საქმიანობასა და სამომავლო

	ინდექსი / GLOBAL CITIES INDEX	პოტენციალზე. ინდექსი აფასებს, თუ რომელი ქალაქებია მსოფლიოში ყველაზე კონკურენტუნარიანი. ინდექსი ერთობლივად შედგენილია ჟურნალი "FOREIGN POLICY"-ის, საკონსულტაციო კომპანია "A. T. Kearney"-ის და კვლევითი ინსტიტუტის "The Chicago Council on Global Affairs"-ის მიერ. გლობალური ქალაქების ინდექსი წელიწადში 2 ჯერ დგინდება. კვლევის პროცესში ქალაქები 25 კულტურული, სოციალური და პოლიტიკური კრიტერიუმების მიხედვით ფასდებიან, რომლებიც 5 მთავარ კატეგორიაშია დაჯგუფებული: 1. საქმიანი აქტივობების დონე - საერთაშორისო ორგანიზაციების შტაბ-ბინების რაოდენობა, საფონდო და სასაქონლო ბაზრების ზომა, ქალაქის გავლით საერთაშორისო გადაზიდვების მოცულობა. ქალაქში ჩატარებული დარგობრივი და ეკონომიკური კონფერენციების რაოდენობა. 2. ადამიანური კაპიტალი - ქალაქში წარმოდგენილი მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების რიცხვი, უცხოელი სტუდენტების რაოდენობა. საბაზო და საშუალო დონის საერთაშორისო სკოლების რიცხვი. უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის ხვედრითი წილი. უცხოელი მოსახლეობის ხვედრითი წილი. 3. საინფორმაციო გაცვლა - ქალაქში განთავსებული გლობალური მნიშვნელობის მასმედიის, კორესპონდენტთა პუნქტების რაოდენობა. საერთაშორისო ახალი ამბების მოცულობა წამყვან ადგილობრივ მასმედიის საშუალებებში, ინფორმაციული და კომუნიკაციური ინფრასტრუქტურა. 4. კულტურული დონე - ქალაქში უცხოელი ტურისტების რაოდენობა, მუზეუმების, თეატრების, საკონცერტო და საგამოფენო დარბაზების, ასევე მსოფლიო დონის სხვა კულტურული დაწესებულებების რიცხვი, საერთაშორისო სპორტული შეჯიბრებების რიცხვი, კულინარიული მრავალფეროვნება. 5. პოლიტიკური წონა - სხვა ქვეყნების საელჩოების, საკონსულოების, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობების რიცხვი, ქალაქში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციების რიცხვი, მსოფლიო მნიშვნელობის პოლიტოლოგიური ინსტიტუტების ხარისხი, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში (დამმოხილველი ქალაქები, ინსტიტუტები, ერთობლივი პროექტები) არსებული თანამშრომლობა. წყარო: https://www.kearney.com/global-cities/2021
8	საკონსულტაციო კომპანია "A.T. KEARNEY"-ის გლობალური მომსახურების ადგილმდებარეობის ინდექსი / A.T. KEARNEY – GLOBAL SERVICES LOCATION INDEX	გლობალური მომსახურების ადგილმდებარეობის ინდექსი შედგენილია საკონსულტაციო კომპანია "A.T. Kearney"-ის მიერ, რომელიც დგინდება ისეთი მაჩვენებლებით, როგორიცაა ბიზნეს გარემო, ადამიანები, სამუშაო ძალის რიცხოვნობა, ფინანსური მიმზიდველობა და ციფრული რეზონანსი. ინდექსმა 2019 წელს მოიცვა 50 ქვეყანა (2004 წელს ის მოიცავდა მხოლოდ 25 ქვეყანას), რაც მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად გაიზარდა გლობალური

		მომსახურების ინდუსტრია. წყარო: https://www.kearney.com/digital/gsli
9	საკონსულტაციო კომპანია "A.T. KEARNEY"-ის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნდობის ინდექსი / A.T. KEARNEY - FDI FOREIGN DIRECT INVESTMENT CONFIDENCE INDEX	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნდობის ინდექსი შედგენილია საკონსულტაციო კომპანია "A.T. Kearney"-ის მიერ და ეფუძნება მსოფლიოს 500 წამყვანი კორპორაციის პირველი პირების გამოკითხვას, რომელიც მოიცავს იმ ბაზრებს, რომლებსაც შეუძლიათ ყველაზე მეტი ინვესტიციის მოზიდვა მომავალი სამი წლის განმავლობაში და აჩვენებს გლობალური კერძო ინვესტიციების ნდობის ხარისხს ეკონომიკებთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ პირველი მოხსნება გამოქვეყნდა 1998 წელს. წყარო: https://www.kearney.com/foreign-direct-investment-confidence-index
10	საკონსულტაციო კომპანია "A.T. KEARNEY"-ის და ჟურნალ "FOREIGN POLICY"-ის გლობალიზაციის ინდექსი / The A.T. KEARNEY & FOREIGN POLICY GLOBALIZATION INDEX	საკონსულტაციო კომპანია "A.T. Kearney"-ის და ჟურნალ "Foreign Policy"-ის გლობალიზაციის ინდექსში შედის 62 ქვეყნის რეიტინგი დაჯგუფებული 14 ცვლადის მიხედვით და განაწილებული 4 კალათაში: ეკონომიკური ინტეგრაცია, პირადი კონტაქტი, ტექნოლოგიური კავშირი და პოლიტიკური ჩართულობა. წყარო: https://foreignpolicy.com/2009/10/29/measuring-globalization-rankings/
11	ბალტიკის საფონდო ბირჟის მონაცემთა სერვისი / The Baltic Exchange Data Services	The Baltic საფონდო ბირჟა (ლონდონის საფრახტო ბირჟა) არის საფრახტო გარიგებების უდიდესი ბირჟა მსოფლიოში, რომელიც დაარსდა 1857 წელს. მოგვიანებით, Baltic Company Ltd 1902 წელს კონკურენტ სანაოსნო ბირჟასთან London Shipping Exchange-თან გაერთიანდა. The Baltic საფონდო ბირჟა არის მსოფლიოში ერთადერთი დამოუკიდებელი ინფორმაციის წყარო საზღვაო ბაზრის შესახებ და ის ითვლის 3000 მეტ წევრს და მოიცავს ნაყარი ტვირთების, ტანკერების, გაზის და კონტეინერების გადაზიდვების ბაზრებს. მისი წევრები არიან გემთმფლობელები, საზღვაო იურისტები, არბიტრები, გადაზიდვების ასოციაციების, სანაოსნოების და კლუბების წარმომადგენლები. The Baltic საფონდო ბირჟის ინდექსები გამოიყენება როგორც სატვირთო ბაზრების საქმიანობის ზოგადი ინდიკატორი და წარმოადგენს დამოუკიდებელი საზღვაო ბაზრის მონაცემების მსოფლიოში წამყვან წყაროს. მისი ძირითადი ინდექსებია: BDI, BCI, BPI, BHSI, BSI და სხვა. წყარო: https://www.balticexchange.com/en/data-services.html
12	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის გლობალური კონკურენტუნარიანობის	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (WEF) ანგარიშში წარმოდგენილია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, რომელიც ასახავს 141 ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის სურათს 103 ინდიკატორის გამოყენებით, რომელიც 12 თემადაა

	ინდექსი / WEF-WORLD ECONOMIC FORUM –THE GLOBAL COMPETITIVENESS INDEX	დაჯგუფებული. თითოეული ინდიკატორი 0–დან 100–მდე მასშტაბის გამოყენებით აჩვენებს, თუ რამდენად უახლოვდება ეკონომიკა იდეალურ სახელმწიფოს ან კონკურენტუნარიანობის ზღვარს. ეკონომიკური ფორუმის განმარტებით, ეკონომიკური კონკურენტუნარიანობა გამოიხატება ინსტიტუტების განვითარებაში, მთავრობის პოლიტიკასა და ბუნებრივ ფაქტორებში, რომლებიც განაპირობებენ ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს. მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი შვეიცარიული ორგანიზაციაა, რომელიც 1979 წლიდან აქვეყნებს ანგარიშებს, რომელიც ასახავს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. ეკონომიკური ფორუმის ანგარიშს და მის შედეგებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ინვესტორები ყურადღებას აქცევენ და ითვალისწინებენ. წყარო: https://www.weforum.org/reports/the-global-competitiveness-report-2020
13	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი (WEF) „ინკლუზიური განვითარების ინდექსი“ / World Economic Forum (WEF) The Inclusive Development Index (IDI)	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ინკლუზიური განვითარების ინდექსი (IDI) არის 103 ქვეყნის ეკონომიკური საქმიანობის ყოველწლიური შეფასება, რომელიც ზომავს თუ როგორ ასრულებენ ქვეყნები მშპ-ს გარდა ეკონომიკური პროგრესის თერთმეტ განზომილებას. წყარო: https://www.weforum.org/
14	საერთაშორისო გამჭვირვალობა- კორუფციის აღქმის ინდექსი / TRANSPARENCY INTERNATIONAL-CPI CORRUPTION PERCEPTIONS INDEX	კორუფციის აღქმის ინდექსი ანაწილებს და აფასებს ქვეყნებს და ტერიტორიებს იმის მიხედვით, თუ რამდენად კორუმპირებულია სახელმწიფო სექტორი ექსპერტებისა და ბიზნესის ლიდერების აზრით. კორუფციის აღქმის ინდექსი არის ავტორიტეტული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული 13 კვლევისა და კორუფციის შეფასების კომპოზიციური ინდექსი. CPI არის მსოფლიოში ფართოდ აღიარებული კორუფციის მაჩვენებელი. წყარო: https://www.transparency.org/en/cpi/2021
15	LBMA ლონდონის ზოდების ბაზრის ასოციაცია- ფასი და მონაცემები / LBMA -London Bullion Market Association - PRICE AND DATA	ლონდონის ზოდების ბაზრის ასოციაციის ფასი და მონაცემები - არის გადამწვევტი ინდიკატორი ოქროს, ვერცხლის, პლატინისა და პალადიუმის ფასის დასადგენად, რომელიც ფართოდ გამოიყენება მწარმოებლების, მყიდველების, ინვესტორების და ცენტრალური ბანკების მიერ მთელს მსოფლიოში. ძვირფასი ლითონების ფასები დგინდება დოლარებში ტროას უნციაზე. LBMA - ლონდონის ზოდების ბაზრების ასოციაცია, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო ასოციაციას, წარმოადგენს ოქროს, ვერცხლის პლატინისა და პალადიუმის საბითუმო ვაჭრობის ბირჟის გარე ბაზარს, სადაც ყოველდღიურად დგინდება ოქროს,

		ვერცხლის, პლატინისა და პალადიუმის ფასები. წყარო: https://www.lbma.org.uk/
16	THE LEGATUM ინსტიტუტის კეთილდღეობის ინდექსი / THE LEGATUM INSTITUTE PROSPERITY INDEX	THE LEGATUM ინსტიტუტის კეთილდღეობის ინდექსი იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას გამოითვალოს თუ როგორ ვითარდება და იცვლება კეთილდღეობა მთელ მსოფლიოში. Prosperity Index-ის ჩარჩოს გამოყენებით, მსოფლიოს ქვეყნებს შეუძლიათ შეაფასონ თავიანთი სიძლიერე და სისუსტეები, რათა განსაზღვრონ ის ეკონომიკური და სტრატეგიული არჩევანი, რომელიც უნდა გაკეთდეს ინკლუზიური საზოგადოებების, ღია ეკონომიკებისა და ხალხის უფლებამოსილების შემუშავების მიზნით. THE LEGATUM ინსტიტუტი დაარსებულია 2007 წელს ლონდონში. წყარო: https://www.prosperity.com/
17	ხელოვნური ინტელექტის ინდექსი- ანგარიში / Artificial Intelligence Index - Report	სტენფორდის უნივერსიტეტის ადამიანზე ორიენტირებული ხელოვნური ინტელექტის ინსტიტუტის (Stanford Institute for Human-Centered Artificial Intelligence) ხელოვნური ინტელექტის ინდექსი აგროვებს, ამუშავებს და ასახავს ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებულ მონაცემებს მსოფლიოს მასშტაბით. ხელოვნური ინტელექტის მონაცემების გაზომვისას წარმოქმნილი აქტუალური საკითხების მიუკერძოებელი განხილვისთვის მოწვეულია 150 დარგობრივი და აკადემიური ექსპერტი. ხელოვნური ინტელექტის ინდექსი განიხილება როგორც სტენფორდის უნივერსიტეტის დამოუკიდებელი ინიციატივა. წყარო: https://aiindex.stanford.edu/report/
18	Polity IV პროექტი - პოლიტიკური რეჟიმის მახასიათებლები და გადასვლები / Polity IV Project – Political Regime Characteristics and Transitions	პოლიტიკის ინდექსი მოიცავს მსოფლიოს 167 ქვეყნის პოლიტიკური რეჟიმების(მათ შორის: სამხედრო გადატრიალებები, ხელისუფლების კოლაფსი, რევოლუციები და სხვა) ანალიზს. წყარო: https://www.systemicpeace.org/polity/polity4x.htm
19	ვენის საფონდო ბირჟა- ინდექსები / The Wiener Börse AG-Indices	ვენის საფონდო ბირჟა არის მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი და ავსტრიის ერთადერთი სავაჭრო ბირჟა, რომელიც ახორციელებს აქტივებით, ობლიგაციებითა და დერივატივებით ვაჭრობას. დაარსებულია 1771 წელს და დღეს წარმოადგენს კერძო კომპანიას. Wiener Börse ინდექსი (WBI) გათვლილია საბაზრო კაპიტალიზაციის შეწონილი ფასის მიხედვით. იგი შეიქმნა, როგორც ზოგადი ინდექსი და შედგება ყველა აქციისგან, რომლითაც ვაჭრობენ ვენის საფონდო ბირჟის ოფიციალურ ბაზარზე. ინდექსი გამოითვლება ევროებში. WBI უზრუნველყოფს საიმედო და გამჭვირვალე ეტალონს ინვესტორებისთვის. Wiener Börse ასევე მოიცავს სხვა ინდექსებსაც: ATX, SATX- Short ATX TR, VÖNIX(ავსტრიის მდგრადობის ინდექსი), IATX(უძრავი ქონება ATX) და სხვა.

		წყარო: https://www.wienerborse.at/indizes/
20	ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი. გლობალური მშვიდობის ინდექსი / INSTITUTE FOR ECONOMICS AND PEACE. GLOBAL PEACE INDEX	ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი ყოველწლიურად აქვეყნებს გლობალური მშვიდობის ინდექსს, რომელიც აფასებს 163 ქვეყანას მშვიდობის დონის მიხედვით. მშვიდობის გაზომვა გლობალურ და ეროვნულ დონეზე საშუალებას გვაძლევს შევადგათ ის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც ქმნიან მშვიდობას. ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის შტაბ-ბინა განლაგებულია სიდნეიში. წყარო: https://www.economicsandpeace.org/
21	ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა (IBP) „ღია ბიუჯეტის ინდექსი“ / International Budget Partnership (IBP) Open Budget Index	ღია ბიუჯეტის მიმოხილვა (The Open Budget Survey) არის ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა (IBP) - ღია ბიუჯეტის ინიციატივის ნაწილი და წარმოადგენს გლობალური კვლევების პროგრამას, რათა ხელი შეუწყოს საზოგადოების საბიუჯეტო ინფორმაციაზე წვდომასა და ინკლუზიური და ანგარიშვალდებული საბიუჯეტო სისტემების შექმნას. ქვეყნის ბიუჯეტის გამჭვირვალობის ქულა, რომელიც ასახულია ღია ბიუჯეტის ინდექსში, აფასებს საზოგადოების ხელმისაწვდომობას ინფორმაციის შესახებ, თუ როგორ ზრდის და ხარჯავს ცენტრალური მთავრობა საჯარო რესურსებს. გამჭვირვალობის 61 (100-დან) ან უფრო მაღალი ქულა მიუთითებს, რომ ქვეყანა სავარაუდოდ აქვეყნებს საკმარის მასალას ბიუჯეტის შესახებ. გლობალური გამჭვირვალობის საშუალო მაჩვენებელი 2019 წელს 100-დან მხოლოდ 45-ს შეადგენს. გამოკითხული ქვეყნების თითქმის 75% -მა არასაკმარისი ქულა მიიღო. ღია ბიუჯეტის ინდექსი ახდენს ქვეყნების ბიუჯეტის შეფასებას გამჭვირვალობის, საზოგადოების მონაწილეობისა და ზედამხედველობის მიხედვით. ბიუჯეტის საერთაშორისო პარტნიორობა დაარსდა 1997 წელს და შტაბ-ბინა განლაგებულია ვაშინგტონში. ბოლო მიმოხილვა გამოშვებულია 2019 წელს. წყარო: https://www.internationalbudget.org/open-budget-survey
22	ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის ეკონომიკის ცოდნის ინდექსი / EBRD - European Bank for Reconstruction and Development Knowledge Economy Index	ეკონომიკის ცოდნის ინდექსი აფასებს მსოფლიოს 46 ეკონომიკას ეკონომიკის ცოდნისა და ინოვაციების დონის მიხედვით. ინდექსი მოიცავს 38 ინდიკატორს, რომელიც 4 კატეგორიად არის დაჯგუფებული: ინსტიტუციები ინოვაციისთვის, ინოვაციის უნარები, ინოვაციების სისტემა და ინფრასტრუქტურა. წყარო: https://www.ebrd.com/news/publications/brochures/ebird-knowledge-economy-index.html
23	გლობალური შიმშილის ინდექსი / Global Hunger Index	გლობალური შიმშილის ინდექსი არის ყოველწლიური ანგარიში, რომელსაც ერთობლივად ამზადებენ ორგანიზაციები: Concern Worldwide და Welthungerhilfe. გლობალური შიმშილის ინდექსი მიზნად ისახავს გლობალურ, რეგიონულ და ქვეყნის დონეზე შიმშილის სრულყოფილად გაზომვას და თვალყურის დევნებას.

		მისი მიზანია მთელ მსოფლიოში შიმშილის შემცირება. 2019 წლის შიმშილის მსოფლიო ინდექსი მოიცავს 117 ქვეყანას. ქვეყნების შიმშილის ინდექსი ფასდება შიმშილის დონის მაჩვენებლების მიხედვით: სერიოზული, საგანგაშო ან უკიდურესად საგანგაშო. წყარო: https://www.globalhungerindex.org/
24	The Heritage Foundation. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი / The Heritage Foundation. Index of Economic Freedom	ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ყოველწლიურად ითვლება ფონდი “ The Heritage Foundation”-ის და “THE Wall Street Journal”-თან ერთად. ინდექსი აფასებს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს მსოფლიოში და მოიცავს 12 თავისუფლებას საკუთრების უფლებიდან დაწყებული, ფინანსური თავისუფლებით დამთავრებული მსოფლიოს 186 ქვეყანაში. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიზანია დაეხმაროს დაინტერესებულ პირებს თვალყური ადევნონ ეკონომიკური თავისუფლების, კეთილდღეობისა და შესაძლებლობების განვითარებას ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში. წყარო: https://www.heritage.org/index/
25	გლობალური ტერორიზმის ინდექსი / GTI-GLOBAL TERRORISM INDEX	გლობალური ტერორიზმის ინდექსი (GTI) წარმოადგენს ანგარიშს, რომელიც ყოველწლიურად ქვეყნდება ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტის (IEP) მიერ და ზომავს საერთაშორისო ტერორიზმის გავლენას 163 ქვეყანაში. ტერორიზმის გავლენა ფასდება 10 ბალანი სისტემით. ეკონომიკისა და მშვიდობის ინსტიტუტი დაარსდა 2007 წელს. წყარო: https://www.economicsandpeace.org/reports/
26	ჟურნალის “The Economist Intelligence Unit’s” დემოკრატიის ინდექსი / The Economist Intelligence Unit’s Index of Democracy	EIU დემოკრატიის ინდექსი 165 დამოუკიდებელ სახელმწიფოსა და ორ ტერიტორიას განიხილავს მსოფლიო დემოკრატიის მდგომარეობის კრილში. დემოკრატიის ინდექსი ემყარება ხუთ კატეგორიას: პოლიტიკური მონაწილეობა და პოლიტიკური კულტურა, სამოქალაქო თავისუფლება, საარჩევნო პროცესი და პლურალიზმი, მთავრობის ფუნქციონირება. თითოეული ქვეყანა განთავსებულია ოთხიდან ერთ-ერთ კატეგორიაში: სრული დემოკრატია, არასაკმარისი დემოკრატია, ჰიბრიდული რეჟიმი ავტორიტარული რეჟიმი. წყარო: https://www.eiu.com/n/campaigns/democracy-index-2020/
27	მსოფლიო ბანკის „ადამიანური კაპიტალის ინდექსი“ / World Bank Human Capital Index	მსოფლიო ბანკის ადამიანური კაპიტალის პროექტი წარმოადგენს გლობალურ მაღისხმევას ადამიანურ კაპიტალში მეტი ინვესტიციის განხორციელებისთვის. არსებული COVID-19-ის პანდემიის პირობებში კიდევ უფრო მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რატომ უნდა განახორციელონ ქვეყნებმა ინვესტიციები ადამიანურ კაპიტალში და შეინარჩუნონ მიღწეული შედეგები. ადამიანური კაპიტალის პროექტი მოიცავს ადამიანური კაპიტალის ინდექსს, რომელიც გვაწვდის მონაცემებს ადამიანური კაპიტალისა და მისი კომპონენტების შესახებ. Human Capital Index არის მსოფლიო ბანკის მიერ მომზადებული ანგარიში. ინდექსი

		ზომავს რომელი ქვეყნებია საუკეთესო თავისი მოქალაქეების ეკონომიკური და პროფესიული პოტენციალის მობილიზებაში. ეს მაჩვენებელი განსაზღვრავს რამდენ კაპიტალს კარგავს თითოეული ქვეყანა განათლებისა და ჯანმრთელობის უქონლობის გამო. ინდექსი პირველად გამოქვეყნდა 2018 წელს და ახდენს 157 ქვეყანის რანგირებას. ადამიანური კაპიტალის ინდექსი 0 – დან 1 – მდე მერყეობს. წყარო: https://www.worldbank.org/en/publication/human-capital
28	ვებ ინდექსი / THE WEB INDEX	“WORLD WIDE WEB FOUNDATION”-ის მიერ შემუშავებული ვებ ინდექსი სხვადასხვა პარამეტრებით ზომავს ინტერნეტის დონეს მსოფლიოს 86 ქვეყანაში სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ სფეროებში, რადგან ინტერნეტის განვითარება საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია. აღსანიშნავია, რომ ინდექსი შეიქმნა 2012 წელს Timothy John Berners-Lee-ის ხელმძღვანელობით. წყარო: https://thewebindex.org/
29	აფრიკის მმართველობის იბრაჰიმის ინდექსი-IIAG / Ibrahim Index of African Governance -IIAG	Mo Ibrahim Foundation (MIF) არის აფრიკული ფონდი, რომელიც შეიქმნა 2006 წელს Mo Ibrahim-ის მიერ, რომლის მიზანია: აფრიკაში მმართველობისა და ლიდერობის კრიტიკული მნიშვნელობა. The Mo Ibrahim Foundation გვთავაზობს აფრიკის მმართველობის იბრაჰიმის ინდექსს (Ibrahim Index of African Governance (IIAG)). აფრიკის მმართველობის იბრაჰიმის ინდექსი შედგება საკვანძო კომპონენტებისგან, რომლებიც ქმნიან 4 კატეგორიას: უსაფრთხოება და კანონის უზენაესობა, მონაწილეობა და ადამიანთა უფლებები, მდგრადი ეკონომიკური შესაძლებლობები და ადამიანური განვითარება. თითოეული კატეგორია მოიცავს ქვეკატეგორიას. ინდექსი გვთავაზობს მმართველობასთან დაკავშირებულ მონაცემებს, რომელიც ზომავს სახელწიფოს ეფექტურობას მმართველობის სფეროში ზემოთ აღწერილი განზომილებების მიხედვით აფრიკის 54 ქვეყნისთვის 2007 წლიდან. წყარო: https://mo.ibrahim.foundation/our-research
30	არასამთავრობო ორგანიზაციის “რეპორტიორები საზღვრების გარეშე ინფორმაციის თავისუფლებისთვის”- მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი / Non-governmental Organization “Reporters Without Borders for	მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსი მოიცავს 180 ქვეყანასა და რეგიონს, ჟურნალისტებისთვის ხელმისაწვდომი თავისუფლების დონის შესაბამისად. ეს არის მედიის თავისუფლების მდგომარეობის ამსახველი სურათი, რომელიც ემყარება პლურალიზმის შეფასებას, მედიის დამოუკიდებლობას, საკანონმდებლო ჩარჩოს ხარისხს და ჟურნალისტების უსაფრთხოებას თითოეულ ქვეყანასა და რეგიონში. იგი არ აფასებს სახელმწიფო პოლიტიკას იმ შემთხვევაშიც კი, თუ მთავრობამ აშკარად მოახდინა გავლენა მათი ქვეყნის რეიტინგზე. ინდექსი ასევე არ აფასებს ჟურნალისტიკის ხარისხს ქვეყანაში ან რეგიონში.

	Freedom of Information” - World Press Freedom Index	წყარო: https://rsf.org/en/ranking
31	ლონდონის ლითონების ბირჟის ინდექსი / LME Index - London Metal Exchange Index	ლონდონის ლითონების ბირჟა არის ინდუსტრიული ლითონებით ვაჭრობის მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი. ლონდონის ლითონების ბირჟა შეიქმნა 1571 წელს (დღევანდელი სახელწოდება მიიღო 1877 წელს) და წარმოადგენს შემდეგ ლითონებს: სპილენძი, ალუმინი, ალუმინის შენადნობი, ალუმინის პრემიუმი, ჩრდილო-ამერიკული სპეციალური ალუმინის შენადნობი, თუთია, ნიკელი, კალა, ტყვია, მოლიბდენი, კობალტი, ფოლადი, ფოლადის არმატურა და სხვა. LMEX ლონდონის ლითონების ინდექსი ასახავს ბირჟაზე წარმოდგენილი ფერადი ლითონის ფასებს. წყარო: https://www.lme.com/
32	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი - საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნების ჩართულობის ინდექსი / WORLD ECONOMIC FORUM- GLOBAL ENABLING TRADE INDEX	საერთაშორისო ვაჭრობაში ქვეყნების ჩართულობის ინდექსი ზომავს თუ რა მაჩვენებლით უწყობს ხელს ინსტიტუტები, პოლიტიკა, ინფრასტრუქტურა და სერვისები პროდუქციის გადაადგილებას როგორც საზღვარზე, ასევე დანიშნულების წერტილამდე და შედგება 4 ძირითადი კომპონიციური მაჩვენებლისგან: ბაზარზე წვდომა, საზღვრის ადმინისტრირება, საოპერაციო გარემო, ინფრასტრუქტურა. წყარო: https://reports.weforum.org/global-enabling-trade-report-2016/
33	გაეროს განვითარების პროგრამა. ადამიანის განვითარების შესახებ ანგარიშთა მონაცემები - ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი / UNITED NATIONS DEVELOPMENT PROGRAMME. HUMAN DEVELOPMENT REPORTS- DATA HUMAN DEVELOPMENT INDEX (HDI)	გაეროს განვითარების პროგრამა ყოველწლიურად ითვლის ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსს, რომელიც შეიქმნა იმის ხაზგასასმელად, რომ ადამიანები და მათი შესაძლებლობები უნდა იყოს ქვეყნის განვითარების შეფასების საბოლოო კრიტერიუმი. ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი ზომავს ადამიანის განვითარების ძირითად ასპექტებს, როგორცაა: ხანგრძლივი და ჯანმრთელი სიცოცხლე, განათლებისა და ცხოვრების შესაფერისი დონე. წყარო: https://hdr.undp.org/en/content/human-development-index-hdi
34	გლობალური ინოვაციების ინდექსი / GII - The Global Innovation Index	გლობალური ინოვაციების ინდექსი (GII) 2012 წლიდან ყოველწლიურად ქვეყნდება და მისი მიზანია ინოვაციების მიმართულებით მსოფლიო ტენდენციების ჩვენება. ინდექსი მოიცავს ინოვაციების ეფექტურობის მაჩვენებლებს მსოფლიოს 131 ქვეყნის და ეკონომიკების მიხედვით. მისი 80 ინდიკატორი იკვლევს ინოვაციების ფართო ხედვას, მათ შორის განათლებას, პოლიტიკურ გარემოს, ინფრასტრუქტურასა და ბიზნესის დახვეწილობას. იგი ასევე წარმოაჩენს იმ მექანიზმებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია გრძელვადიანი ზრდის, პროდუქტიულობის და სამუშაო ადგილების ზრდის მიღწევა.

		ინოვაციების გლობალური ინდექსი ეხმარება და რჩევებს აძლევს ქვეყნებს თუ რა არის საჭირო ინოვაციების განსავითარებლად აუცილებელი გარემოს შესაქმნელად. წყარო: https://www.globalinnovationindex.org/Home
35	მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსი / WJP – The World Justice Project - Rule of Law Index	მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსი მსოფლიოში წამყვანი, ორიგინალური, დამოუკიდებელი კანონის უზენაესობის მაჩვენებელია და მოიცავს 128 ქვეყანასა და იურისდიქციას. წყარო: https://worldjusticeproject.org/rule-of-law-index/
36	მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტი „ღია მმართველობის ინდექსი“ / WJP – The World Justice Project - Open Government Index	WJP ღია მმართველობის ინდექსი ეფუძნება მთავრობის ღიაობას, რომელიც ეფუძნება 102 ქვეყნის ზოგად გამოცდილებას და აღქმას. ღია მმართველობას ინდექსი ოთხი განზომილებისგან შედგება: გამოქვეყნებული კანონები და მთავრობის მონაცემები, ინფორმაციის მიღების უფლება, მოქალაქეთა მონაწილეობა და საჩივრების შეტანის მექანიზმები. წყარო: https://worldjusticeproject.org/open-government-around-world
37	გლობალური ანალიტიკური და საკონსულტაციო კომპანია GALLUP-ის წამყვანი რელიგიების მაჩვენებლების ინდექსი / The Global analytical and consulting company Gallup Index of Leading Religious Indicators	GALLUP-ის წამყვანი რელიგიების მაჩვენებლების ინდექსი დგინდება ყოველწლიური გამოკითხვის საფუძველზე, რომლებიც ეხება რელიგიურ შეხედულებებს და პრაქტიკებს. მოცემული ინდექსი გვიჩვენებს მოსახლეობის პროცენტულ რაოდენობას, რომელიც საკუთარ თავს მიაკუთვნებს ამა თუ იმ კონფესიას. მსოფლიოში ავტორიტეტული გლობალური ანალიტიკური და საკონსულტაციო კომპანია GALLUP სოლიდური მონაცემთა ბაზა მოიცავს 160 ქვეყნიდან მიღებულ მონაცემებს, აგრეთვე 80 წლის განმავლობაში აშშ-ს ეროვნულ მონაცემებს. ჯორჯ ჰ. გელაპმა დაარსა ამერიკის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტი (American Institute of Public Opinion), რომელიც გარდაიქმნა კომპანია GALLUP-ად 1935 წელს. წყარო: https://news.gallup.com/poll/5317/gallup-index-leading-religious-indicators.aspx
38	შვეიცარიის ეკონომიკური ინსტიტუტის (შვეიცარიის ფედერალური ტექნოლოგიის ინსტიტუტი ციურიხში) გლობალიზაციის ინდექსი KOF ETH / Globalization Index	ციურიხის ფედერალური ტექნოლოგიური ინსტიტუტის გლობალიზაციის ინდექსი მოიცავს 195 ქვეყნის გლობალიზაციის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ განზომილებებს: ეკონომიკური გლობალიზაციის განზომილება მოიცავს როგორც სავაჭრო ასევე ფინანსურ ნაკადებს. გლობალიზაციის სოციალურ განზომილება მოიცავს პიროვნულ კონტაქტებს, ინფორმაციულ ნაკადებს და კულტურულ გლობალიზაციას; პოლიტიკური

	- Swiss Economic Institute at ETH Zurich	გლობალიზაცია ფასდება საელჩოების და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების რაოდენობის, აგრეთვე გაეროს სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის თვალსაზრისით და მოიცავს ცვლადებს, რომლებიც დაკავშირებულია საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობასთან და საერთაშორისო ხელშეკრულებებთან. ინდექსი მოქმედებს 1970 წლიდან დღემდე და გლობალიზაციას აფასებს 1-დან 100-მდე მასშტაბით. ინდექსი იძლევა ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის შედარების საშუალებას. წყარო: https://kof.ethz.ch/en/forecasts-and-indicators/indicators/kof-globalisation-index.html
39	ბერტელსმანნის ტრანსფორმაციის ინდექსი / BTI - Bertelsmann Transformation Index	ბერტელსმანნის ტრანსფორმაციის ინდექსი აანალიზებს და ადარებს მთელ მსოფლიოში მიმდინარე ტრანსფორმაციულ პროცესებს დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით და განსაზღვრავს წარმატებულ სტრატეგიებს მშვიდობიანი ცვლილებებისთვის. ბერტელსმანნის ტრანსფორმაციის ინდექსი არის მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებისა და ანალიტიკური ცენტრების 300-მდე ექსპერტის (ქვეყანა და რეგიონი) თანამშრომლობის შედეგი. ბერტელსმანნის ტრანსფორმაციის ინდექსი მოიცავს შემდეგ ინდექსებს: Political Transformation Index; Economic Transformation Index; Governance Index. წყარო: https://bti-project.org/en/?&cb=00000
40	მსოფლიო ბედნიერების ანგარიში / The World Happiness Report	გაერო-ს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებათა მიმღები ორგანოს (SDSN) მიერ გამოქვეყნებული მსოფლიო ბედნიერების ანგარიში წარმოადგენს კვლევას ქვეყნების ბედნიერების მაჩვენებლის შესახებ. მოცემულ ანგარიშში წარმოდგენილია 156 ქვეყანა, რომელთა ბედნიერების რეიტინგი ითვლება, აშშ-ს გელაპის ინსტიტუტის მონაცემებზე დაყრდნობით, შემდეგი ძირითადი ინდიკატორების მიხედვით: მშპ ერთ სულ მოსახლეზე; სოციალური მხარდაჭერა; სიცოცხლის ხანგრძლივობა; არჩევანის თავისუფლება; გულუხვობა; კორუფციის შეფასება; ანტიუტოპია. წყარო: https://worldhappiness.report/
41	Good Country ინდექსი / Good	Good Country ინდექსი აფასებს თუ რა წვლილი შეაქვს თითოეულ ქვეყანას კაცობრიობის კეთილდღეობაში ან პირიქით. 2014

	Country Index	წლიდან, ინდექსი ეყრდნობა გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების, საერთაშორისო სააგენტოებისა და ორგანიზაციების მონაცემს. ქვეყნები ფასდებიან თითოეული ინდიკატორის მიხედვით (0 - უმაღლესი რანგი და 1 ყველაზე დაბალი რანგი). Good Country Index (1.4) ეყრდნობა ძირითადად 2017 წლის მონაცემებს. წყარო: https://index.goodcountry.org/
42	Fraser Institute-ის ადამიანის თავისუფლების ინდექსი / Fraser Institute-The Human Freedom Index (HFI)	Fraser Institute -ის ადამიანის თავისუფლების ინდექსი წარმოადგენს ადამიანის თავისუფლების დონის შეფასების საშუალებას. მოცემული ინდექსის შემუშავებისთვის ფასდება პერსონალური და ეკონომიკური ინდიკატორები შემდეგ სფეროებში: • კანონის უზენაესობა; • უსაფრთხოება; • რელიგია; • გამოხატვა და ინფორმაცია; • სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლებები; • რეგულაციები და სხვა. წყარო: https://www.fraserinstitute.org/studies/human-freedom-index-2021
43	ნუმბეოს ინდექსები /Numbeo Indices	Numbeo მსოფლიოში უდიდესი ბაზაა ცხოვრების ღირებულების მონაცემების შესახებ, ასევე ცხოვრების დონის, კრიმინალის დონის და ჯანდაცვის ხარისხის დონის გლობალურ მონაცემთა ბაზას მოიცავს. Numbeo – 2009 წლიდან ფუნქციონირებს და კვლევები და ხელმისაწვდომი მონაცემები სახელმწიფო ორგანიზაციების გავლენისგან თავისუფალია და აერთიანებს შემდეგ ინდექსებს: Cost of living: ცხოვრების ღირებულება; Property Prices Index: საკუთრების ფასების ინდექსი; Quality of life index: ცხოვრების დონის ინდექსი Crime index: კრიმინალის ინდექსი; Safety index: უსაფრთხოების ინდექსი; Health Care index: ჯანმრთელობის დაცვის ინდექსი Pollution index: დაბინძურების ინდექსი Traffic index: ტრაფიკის ინდექსი წყარო: https://www.numbeo.com/cost-of-living/
44	DHL გლობალური ჩართულობის ინდექსი / DHL Global Connectedness Index	DHL მსოფლიოს წამყვანი ლოგისტიკური კომპანიაა, წარმოადგენილი 400 000-მდე თანამშრომლით მსოფლიოს 220 ქვეყანასა და ტერიტორიაზე. DHL-ის გლობალური ჩართულობის ინდექსი აფასებს გლობალიზაციის ხარისხს ვაჭრობის, კაპიტალის, ინფორმაციის მიმოქცევის და ადამიანთა ნაკადების საფუძველზე. წყარო: https://www.dhl.com/global-en/delivered/globalization/global-

		connectedness-index.html
45	ეკონომიკის კომპლექსურობის ინდექსი / Economic Complexity Index	The Atlas of Economic Complexity -ეკონომიკის კომპლექსურობის ატლასი არის მონაცემთა ვიზუალიზაციის საშუალება, რომელიც სწავლობს გლობალური ვაჭრობის ნაკადებს სხვადასხვა ბაზრებზე, თვალყურს ადევნებს ვაჭრობის დინამიკას და პოულობს ზრდის შესაძლებლობებს თითოეული ქვეყნისთვის, შექმნილია Harvard Kennedy School of Government-ის მიერ და ეყრდნობა Harvard's Growth Lab's კვლევებს. ეკონომიკის კომპლექსურობის ატლასი არის მრავალი ჯილდოს მფლობელი. Harvard Growth Lab's-ის ქვეყნების რანგირება აფასებს ქვეყნების საწარმოო ცოდნის ახლანდელ მდგომარეობას ეკონომიკის კომპლექსურობის ინდექსის (Economic Complexity Index - ECI) საშუალებით. ქვეყნები აუმჯობესებენ თავიანთ ECI-ს ექსპორტირებული საქონლის რაოდენობისა და კომპლექსურობის საფუძველზე. წყარო: https://atlas.cid.harvard.edu/rankings
46	გლობალური მეწარმეობის ინდექსი / Global Entrepreneurship Index	გლობალური მეწარმეობის ინდექსი საშუალებას გვამძლევს შევაფასოთ, თუ როგორ ახდენენ მსოფლიოს ქვეყნები ფინანსური რესურსების გადანაწილებას მეწარმეობის ხელშეწყობისთვის. მოცემული ინდექსი შემუშავდა ქვეყნების სამეწარმეო გარემოს შესაფასებლად. წყარო: http://thegeedi.org/global-entrepreneurship-and-development-index/
47	გლობალური შესაძლებლობების ინდექსი / Global Opportunity Index	The Milken Institute გლობალური შესაძლებლობების ინდექსი (GOI) აფასებს ქვეყნებს ხუთი კატეგორიის მიხედვით: ეკონომიკის საფუძვლები, ფინანსური მომსახურება, ბიზნესის აღქმა, ინსტიტუციური ჩარჩო, საერთაშორისო სტანდარტი და პოლიტიკა. წყარო: https://milkeninstitute.org/global-opportunity-index
48	TheGlobalEconomy.com მონაცემები / TheGlobalEconomy.com Data	TheGlobalEconomy.com მონაცემებს აქტიურად იყენებენ მკვლევარები, ბიზნესმენები, აკადემიკოსები და ინვესტორები, რომლებმაც სჭირდებათ ეკონომიკური მონაცემები უცხო ქვეყნების შესახებ. TheGlobalEconomy.com მოიცავს მშპ-ს, ინფლაციის, კრედიტის, საპროცენტო განაკვეთების, დასაქმების და მრავალი სხვა ინდიკატორის განახლებულ მონაცემებს. ასევე წარმოგიდგენილია 300-ზე მეტი საგულდაგულოდ შერჩეული ინდიკატორი სხვადასხვა ოფიციალური წყაროდან, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, გაერო და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი.
49	საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსი /	საკუთრების დაცვის საერთაშორისო ინდექსი (IPRI) Property Rights Alliance-ის ფლაგმანი გამოცემა, რომელიც აფასებს 129 ქვეყნის შემდეგ მაჩვენებლებს: სამართლებრივი და პოლიტიკური

	International Property Rights Index	გარემო, ფიზიკური და ინტელექტუალური საკუთრების უფლებები. ეს არის მსოფლიოში ერთადერთი ინდექსი, რომელიც მთლიანად მიმართულია ინტელექტუალური და ფიზიკური საკუთრების უფლებების გაზომვაზე. წყარო: https://www.internationalpropertyrightsindex.org/
50	ბიგ მაკის ინდექსი / The Big Mac index	The Big Mac Index არის ფასების ინდექსი, რომელიც გამოქვეყნებულია The Economist-ის მიერ, როგორც ორ ვალუტას შორის მსყიდველობითი უნარის პარიტეტის გაზომვის საშუალება. 1986 წელს შექმნილმა ინდექსმა მიიღო სახელი Big Mac-ისგან (ჰამბურგერი). წყარო: https://www.economist.com/big-mac-index
51	ICT განვითარების ინდექსი / ICT Development Index	ICT (საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები) განვითარების ინდექსი ქვეყნდება 2009 წლიდან და აერთიანებს 11 ინდიკატორს. მოცემული ინდექსი გამოიყენება საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების მონიტორინგისა და ქვეყნების შედარებისთვის. 2017 წლის ICT განვითარების ინდექსის რანგირებაში საქართველო 74-ე ადგილზეა, რაც 2016 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე (73-ე ადგილი) 1 ერთეულით არის შემცირებული, სომხეთი მოცემულ რანგირებაში 75-ე ადგილზეა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე (74-ე ადგილი) 1 ერთეულით არის შემცირებული. რაც შეეხება აზერბაიჯანს, 2017 წელს 65-ე ადგილზეა, ხოლო 2016 წელს კი მე-60 ადგილზე. წყარო: https://www.itu.int/en/ITU-D/Statistics/Pages/IDI/default.aspx
52	ჰენლის პასპორტის ინდექსი/ The Henley Passport Index	ჰენლის პასპორტის ინდექსი წარმოადგენს ერთადერთ მოცემული სახეობის ინდექსს 17 წლიანი ისტორიული მონაცემებით, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის ხელმძღვანელობისგან (International Air Transport Authority - IATA) ექსკლუზიურ მონაცემებს. ინდექსი მოიცავს 199 სხვადასხვა პასპორტსა და 227 განსხვავებულ ტურისტულ მიმართულებას. მოცემული ინდექსი ახლდება ყოველ კვარტალურად და ჰენლის პასპორტის ინდექსი მიჩნეულია გლობალური მასშტაბით პასპორტის შეფასების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. წყარო: https://www.henleyglobal.com/passport-index
53	საერთაშორისო ლოგისტიკური საქმიანობის ინდექსი /International Logistics Performance Index (LPI)	მსოფლიო ბანკის საერთაშორისო ლოგისტიკის ეფექტიანობის ინდექსი წარმოადგენს შეფასების ინსტრუმენტს, რომელიც ეხმარება ქვეყნებს იმ შესაძლებლობების და გამოწვევების იდენტიფიცირებაში, რომელსაც ისინი აწყდებიან ლოგისტიკურ პროცესებში და ასევე მათი ეფექტიანობის გაუმჯობესების საშუალებაა. ლოგისტიკის ინდექსში შესულია 160 ქვეყანა და მოიცავს ექვს ძირითად ინდიკატორს:

		სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხი; ტვირთის განრიგის მიხედვით დანიშნულების ადგილამდე დროულად მიწოდება; ტვირთის თრეკინგის შესაძლებლობა; საბაჟო პროცედურებისა და საზღვრის მართვის ეფექტურობა; კონკურენტუნარიანი საერთაშორისო გადაზიდვების წარმოების შესაძლებლობა; ლოგისტიკური მომსახურების შესაძლებლობები და ხარისხი. წყარო: https://lpi.worldbank.org/
54	ქსელური მზადყოფნის ინდექსი / Network Readiness Index	პორტულანსის ინსტიტუტის (The Portulans Institute) ქსელური მზადყოფნის ინდექსი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენებისა და გავლენის შეფასების ერთ-ერთი წამყვანი გლობალური ინდექსია. 2021 წლის ქსელური მზადყოფნის ინდექსის ანგარიში აფასებს 130 ქვეყნის შემდეგ მაჩვენებლებს: ტექნოლოგია, მოსახლეობა, მმართველობა და გავლენა. წყარო: https://networkreadinessindex.org/
55	მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი / Travel & Tourism Competitiveness Index	მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის (World Economic Forum) მოგზაურობისა და ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ინდექსი პირველად გამოქვეყნდა 2007 წელს. ინდექსი ზომავს იმ ფაქტორებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბიზნესის განვითარებას ქვეყნების ტურისტულ ინდუსტრიაში. ანგარიშში შესული 140 ქვეყნის რანგირება სამი ძირითადი ქვეინდექსის მიხედვით: 1. მარეგულირებელი ჩარჩო; 2. ბიზნეს გარემო და ინფრასტრუქტურა; 3. ადამიანური, კულტურული და ბუნებრივი რესურსები. ანგარიში ასევე მოიცავს თითოეული კონკრეტული ქვეყნის პროფილს, ასევე ძირითად ეკონომიკურ ინდიკატორებს მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით და ასევე გაერო-ს ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციის ტურისტულ მონაცემებს. წყარო: https://reports.weforum.org/travel-and-tourism-competitiveness-report-2019/rankings/
56	სამუშაოდ და სამოგზაუროდ საუკეთესო ქვეყნების რეიტინგი / Top Countries for Travel and Work In	უმსხვილესი ტურისტული სამიებო ინტერნეტ პორტალის Momondo-ს მიერ გამოქვეყნებულ სამუშაოდ და სამოგზაუროდ საუკეთესო ქვეყნების რეიტინგის მიხედვით ქვეყნების რანგირება ხდება შემდეგი ექვსი კატეგორიის მიხედვით: მოგზაურობა, ადგილობრივი ფასები, ჯანმრთელობა და უსაფრთხოება, დისტანციური მუშაობა, სოციალური ცხოვრება და ამინდი. 2021 წელს საქართველოს, 111 ქვეყანას შორის, უკავია მე-17 ადგილი, სომხეთს - 83 ადგილი წყარო: https://www.momondo.com/
57	ინტერნეტის თავისუფლების ინდექსი / Freedom on the Net	ინტერნეტის გლობალური თავისუფლების რეიტინგს ამერიკული ორგანიზაცია „Freedom House“ აქვეყნებს. ბოლო რეიტინგი 70 ქვეყანას მოიცავს. თუმცა ქვეყნები, რომლებიც რეიტინგში არ

		არიან შეტანილი, ძირითადად განვითარებადი, ღარიბი ქვეყნებია, სადაც ნაკლებად სავარაუდოა, რომ ინტერნეტის თავისუფლების დონე მაღალი იყოს. რეიტინგის მონაცემები ყოველწლიურად ახლდება. 2022 წელს გამოქვეყნებული რეიტინგი 2021 წლის რეალობას ასახავს. ქვეყანას მაქსიმუმ 100 ქულის დაგროვება შეუძლია, მეტი ქულა ინტერნეტის მეტ თავისუფლებას ნიშნავს. 100 ქულა შეფასების 3 კრიტერიუმზე ნაწილდება: მაქსიმუმ 25 ქულა მოდის ინტერნეტის ხელმისაწვდომობაზე, მაქსიმუმ 35 ქულა მოდის ინტერნეტის თემატურ შეზღუდვაზე და მაქსიმუმ 40 ქულა მოდის ინტერნეტის მომხმარებლების უფლებების დარღვევაზე. ქვეყნებზე დაკვირვება ღია მონაცემებზე დაყრდნობით და გამოკითხვებით ხდება. ქულების მიხედვით ქვეყნები თავისუფალ, ნაწილობრივ თავისუფალ და არათავისუფალ ქვეყნებად იყოფიან. წყარო: https://freedomhouse.org/report/freedom-net
58	ბედნიერი პლანეტის ინდექსი / The Happy Planet Index	ახალი ეკონომიკური ფონდის (New Economics Foundation) ბედნიერი პლანეტის ინდექსი არის მდგრადი კეთილდღეობის საზომი, რომელიც აფასებს ქვეყნებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტურად ატარებს ამ ქვეყნების მოსახლეობა ხანგრძლივ ბედნიერ ცხოვრებას შეზღუდული გარემოსდაცვითი რესურსების გამოყენების პირობებში. მოცემულ ინდექსში წარმოდგენილია 152 ქვეყანა და იგი გვიჩვენებს, თუ რომელი ქვეყნები გამოირჩევიან ყველაზე ხანგრძლივი, ბედნიერი ცხოვრების კუთხით მაღალი გარემოსდაცვითი სტანდარტების ფონზე. წყარო: https://happyplanetindex.org/
59	ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი / Environmental Performance Index	ინდექსი ახდენს 180 ქვეყნის რანგირებას გარემოს სიჯანსაღისა და ეკოსისტემის სიცოცხლისუნარიანობის მიხედვით. მოცემული ინდექსი გვიჩვენებს რომელი ქვეყანა უკეთესად უმკლავდება მსოფლიოს წინაშე არსებულ ეკოლოგიურ პრობლემებს. 2020 წლის ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსი 180 ქვეყნის ეკოლოგიური ეფექტიანობის შედარების, ანალიზისა და გაგების საშუალებას გვაძლევს. მოცემული ინდექსი ახდენს ქვეყნების რანგირებას მათი ეკოლოგიური ეფექტიანობის მიხედვით უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით და ითვლის როგორ შეიცვალა მოცემული ინდექსი ბოლო ათწლეულის მანძილზე. წყარო: https://epi.yale.edu/
60	მონაცემთა ღიაობის ბარომეტრი / The Open Data Barometer	მონაცემთა ღიაობის ბარომეტრი წარმოადგენს გლობალურ საზომს, რომელიც აფასებს თუ როგორ აქვეყნებენ და იყენებენ მთავრობები ღია მონაცემებს ანგარიშვალდებულებისთვის, ინოვაციებისა და სოციალური გავლენისთვის. მონაცემთა ღიაობის ბარომეტრი ახდენს მთავრობების რანგირებას შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით: ღია მონაცემთა ინიციატივებისთვის მზადყოფნა;

		ღია მონაცემთა პროგრამების დანერგვა; ღია მონაცემების გავლენა ბიზნესზე, პოლიტიკასა და სამოქალაქო საზოგადოებაზე. მონაცემთა ღიაობის ბარომეტრის ბოლო ანგარიში გამოქვეყნდა 2016 წელს. ანგარიშში საქართველო 114 ქვეყანას შორის 37 ქულით მე-40 ადგილზეა. მოცემულ ანგარიშში არ იძებნება აზერბაიჯანი და სომხეთი. წყარო: https://opendatabarometer.org/?_year=2017&indicator=ODB
61	დოუ ჯონსის სამრეწველო საშუალო ინდექსი / THE DOW JONES Industrial Average DJIA INDEX	დოუ ჯონსის სამრეწველო საშუალო ინდექსი, ასევე ცნობილი როგორც Dow-30 წარმოადგენს საფონდო ინდექსს, რომელიც არის ფასების შეწონილი ინდექსი, აკონტროლებს აშშ-ს 30 უმსხვილ კომპანიას, რომლებიც ვაჭრობენ ნიუ-იორკის და NASDAQ-ის ბირჟებზე. მათ შორის არიან: BOEING, UNITED HEALTH და MC DONALD's. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ინდექსი მხარდაჭერილია S&P Dow Jones Index-ის მიერ, რომლის უმრავლესობას ფლობს S&P Global. გარდა მოცემული ინდექსისა, THE DOW JONES-ის კლასიფიკაციაში წარმოდგენილია შემდეგი ინდექსები: Dow Jones Transportation Average; Dow Jones Utility Average; Dow Jones Composite Average; Dow Jones Industrial Average Yield Weighted Index; Dow Jones Industrial Average Equal Weight Index. წყარო: https://www.spglobal.com/spdji/en/indices/equity/dow-jones-industrial-average/#overview
62	Standard & Poor's 500 ინდექსი / Standard & Poor's 500 Index	S&P 500 ინდექსი მნიშვნელოვანი ინდექსია, რომელიც მხარდაჭერილია Dow Jones-ის ინდექსებით, რომელმაც S&P ერთად შექმნა ერთობლივი საწარმო, რომელშიც აქციების საკონტროლო პაკეტის მფლობელია S&P Global. S&P 500-თან დაკავშირებულია შემდეგი ინდექსები: S&P 500 Carbon Efficient Index, S&P 500 PR (3M LIBOR), S&P 500 Top 50, S&P 100 და სხვა. გარდა ამისა, S&P Dow Jones Indices მოიცავს სხვა ინდექსებსაც, მათ შორის: S&P Global 1200, S&P Global BMI, S&P PRISM Index და სხვა. წყარო: https://www.spglobal.com/spdji/en/indices/equity/sp-500/
63	NASDAQ (ფასიანი ქაღალდების დილერების ეროვნული ასოციაციის ავტომატური ქვოტირება) ინდექსები / NASDAQ (National Association of Securities Dealers Automated Quotation) INDEXES	NASDAQ ინდექსი იძლევა სიტუაციის შეფასების საშუალებას აშშ-ს მაღალი ტექნოლოგიების ბაზარზე. ყველაზე ცნობილი NASDAQ-ის ინდექსებია: NASDAQ 100 და NASDAQ COMPOSITE. აღსანიშნავია, რომ NASDAQ ითვლება აშშ-ს საფონდო ბირჟის სამეულის კომპანიად, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის შემდეგ იგი მეორე ადგილზეა. NASDAQ დაარსდა 1971 წელს და განლაგებულია ნიუ-იორკში. დღეისათვის NASDAQ ბირჟაზე იყიდება 5000-ზე მეტი მაღალტექნოლოგიური კომპანიის აქციები, მათ შორის წარმოდგენილია MICROSOFT, APPLE და AMAZON.

		წყარო: https://www.nasdaq.com/
64	Wilshire 5000 ბაზრის საერთო ინდექსი / Wilshire 5000 Total Market Index	Wilshire 5000 Total Market Index არის ამერიკული კორპორაციების აქციების საფონდო ბირჟის ყველაზე ფართო ინდექსი. იგი ხშირად გამოიყენება როგორც ორიენტირი და ინდიკატორი აშშ-ს საფონდო ბირჟისთვის. იგი ფართოდ განიხილება, როგორც აშშ-ს საერთო ფასიანი ქაღალდების ბაზრის საუკეთესო საზომი. Wilshire 5000 Total Market Index დაარსებულია 1974 წელს Wilshire Associates-ის მიერ, ხოლო 2004 წლის აპრილში დაერქვა "Dow Jones Wilshire 5000" მას შემდეგ, რაც Dow Jones & Company-მ მოიპოვა კონტროლი მოცემულ ინდექსზე, თუმცა 2009 წლის 31 მარტიდან ინდექსი დაიბრუნა Wilshire Associates-მა, მას შემდეგ რაც Dow Jones & Company-სთან შეწყდა პარტნიორობა. Wilshire 5000 სინამდვილეში მოიცავს დაახლოებით 3.500 აქციას. წყარო: https://www.wilshire.com/solutions/indexes
65	ფრანკფურტის საფონდო ბირჟა- DAX 30 ინდექსი / Frankfurt Stock Exchange- Dax 30 Index	DAX 30 ინდექსი წარმოადგენს გერმანიის ძირითად საფონდო ბირჟის ინდექსს და შეიქმნა 1988 წელს. მის გათვლაში გამოყენებულია გერმანიის ეკონომიკის სხვადასხვა დარგის 30 ტოპ კომპანიის აქციები. გარდა ამისა არსებობს Dax-ის სხვა ინდექსები: Dax, Daxglobal, Daxplus, Fixed-income Indices, Alternative Indices, Custimized Indices. წყარო: https://www.boerse-frankfurt.de/indices/dax
66	ლონდონის საფონდო ბირჟა- FTSE FOOTsie 100 ინდექსი / London Stock Exchange- FTSE FOOTsie 100 Index	ინდექსმა "FOOTSIE 100"-მა დაიწყო მოქმედება 1984 წელს. ითვალისწინებს 100 კომპანიას მაქსიმალური კაპიტალიზაციით, რომელთა აქციები იყიდება ლონდონის საფონდო ბირჟაზე (LSE). მათ შორისაა უმსხვილესი კორპორაციები: Hong Kong and Shanghai Banking Corporation, ROYAL DUTCH SHELL (British-Dutch oil and gas company) და BP (British petroleum). გარდა ამისა არსებობს FOOTsie-ის სხვა ინდექსები, რომელთა შორისაა: FTSE 250, FTSE 350, FTSE All-Share, FTSE AIM UK 50 Index, FTSE AIM 100 Index, FTSE AIM All-Share და სხვა. წყარო: https://www.londonstockexchange.com/indices/ftse-100
67	NIKKEI ინდექსი / NIKKEI Index	ინდექსი NIKKEI 225 ითვლება ყველაზე პოპულარულ იაპონურ ინდექსად და გათვლა ხდება ტოკიოს საფონდო ბირჟის 225 კომპანიის აქციების ფასის საშუალო შეწონილი მნიშვნელობით. გარდა ამისა, არსებობს NIKKEI-ის სხვა ინდექსები, რომელთა შორისაა: Nikkei 225 და მისგან წარმოებული ინდექსები, Nikkei REIT Index Series, Nikkei Asia Indexes, JPX-Nikkei 400 მისგან წარმოებული ინდექსები და სხვა. წყარო: https://indexes.nikkei.co.jp/en/nkave/

68	EURONEXT პარიზის საფონდო ბირჟის CAC 40 ინდექსი / EURONEXT PARIS CAC 40 INDEX	CAC 40 ინდექსი არის აქციის საბაზრო ღირებულების შეწონილი ინდექსი, რომელიც ზომავს 40 ყველაზე მსხვილ და აქტიური ვაჭრობის აქციებს და წარმოადგენს საფრანგეთის ძირითადი საფონდო ბირჟის ყველაზე აქტიურად გამოყენებად ინდექსს. გარდა ამისა, CAC მოიცავს სხვა ინდექსებსაც: CAC Large 60, CAC Mid 60, CAC Next 20, SBF 120, CAC Small, CAC Mid & Small, CAC All-Tradabl და სხვა. წყარო: https://live.euronext.com/en/product/index/FR0003500008-XPAR
69	HANG SENG ინდექსი / HANG SENG INDEX	HANG SENG ინდექსი ჰონგკონგის ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და წამყვანი ინდექსია, რომელიც მოქმედებს 1969 წლიდან. გარდა ამისა, არსებობს HANG SENG-ის სხვა ინდექსებიც, რომლებიც დაყოფილია ჯგუფებად და ქვეჯგუფებად, მათ შორისაა: Market-Cap Weighted Indexes, Factor & Strategy Indexes, Sector Indexes, Sustainability Indexes, Fixed Income Indexes და სხვა. წყარო: https://www.hsi.com.hk/
70	სან-პაულოს საფონდო ბირჟა-IBovespa ინდექსი / San Paulo Stock Exchange - IBovespa Index	IBovespa ინდექსი ბრაზილიის საფონდო ინდექსია, რომელიც ითვლის ბრაზილიის ემიტენტების ყველაზე ლიკვიდურ აქციებს, რომლებითაც ვაჭრობენ სან-პაულოს ბირჟაზე. წყარო: https://www.cnbc.com/quotes/.BVSP
71	MSCI Inc ინდექსი / MSCI Inc Index	ყოფილი Morgan Stanley Capital International და MSCI Barra - ამერიკული საფინანსო კომპანიის ინდექსებია: MSCI BRIC, MSCI World და MSCI EAFE. მისი შტაბ-ბინა განლაგებულია ნიუ-იორკში. წყარო: https://www.msci.com/
72	კორეის საფონდო ბირჟის KOSPI ინდექსი / Korea Stock Exchange KOSPI Index	კორეის საფონდო ბირჟის KOSPI ინდექსი არის კაპიტალიზაციის შეწონილი ინდექსი იმ ჩვეულებრივი აქციებისთვის, რომლებითაც საფონდო ბირჟებზე ვაჭრობენ. მისი გამოთვლა დაიწყო 1983 წლიდან. სხვა ინდექსებია: KOSPI 200, KOSPI 100 და KOSPI 50. KOSPI 200- ითვლება ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სავაჭრო ინდექსად მსოფლიოში და მის გათვლაში გამოყენებულია სხვადასხვა დარგის 200 უმსხვილესი კომპანიის აქციები. წყარო: https://global.krx.co.kr/main/main.jsp
73	All Ords-ის ჩამონათვალი / All Ords List	All Ords (All Ordinaries) Index დაარსებულია 1980 წელს და წარმოადგენს ავსტრალიის კაპიტალის ბაზრის 500 უმსხვილეს კომპანიას. გარდა All Ordinaries ინდექსისა, წარმოდგენილია სხვა ინდექსებიც: S&P/ASX 20 S&P/ASX 50 S&P/ASX 200 S&P/ASX 300 წყარო: https://www.allordslist.com/
74	S&P Bombay Stock Exchange Sensitive Index- The SENSEX ინდექსი / S&P Bombay Stock Exchange Sensitive	THE SENSEX ინდექსი ქვეყნდება 1986 წლიდან და წარმოადგენს შეწონილ ინდექსს, რომლის გათვლაში გამოყენებულია 30 ცნობილი და ფინანსურად მდგრადი კომპანიის აქციები, რომლებიც ინდოეთის ეკონომიკის სხვადასხვა ინდუსტრიულ სექტორს წარმოადგენენ და ბომბეის საფონდო ბირჟაზე არიან

	Index- THE SENSEX INDEX	რეგისტრირებული. THE SENSEX ინდექსის გარდა, ასევე წარმოდგენილია შემდეგ ინდექსები: The S&P BSE Dollex 100, The S&P BSE 500, The S&P BSE 200, The S&P BSE Dollex 30, The S&P BSE Private Banks Index და სხვა. წყარო: https://www.spglobal.com/spdji/en/indices/equity/sp-bse-sensex/#overview
75	შანხაის საფონდო ბირჟის კომპოზიციური ინდექსი / Shanghai Stock Exchange Composite Index	The SSE Composite ინდექსი, ასევე ცნობილი როგორც Shanghai Composite Index ქვეყნდება 1991 წლიდან და წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ხშირად გამოყენებად ინდიკატორს, რომელიც ასახავს ბაზრის მაჩვენებლებს. მოიცავს შანჰაის საფონდო ბირჟის აქციებს. შანჰაის საფონდო ბირჟაზე ასევე გამოიყენება შემდეგი მნიშვნელოვანი ინდექსები: SSE 50 Index და SSE 180 Index. წყარო: http://english.sse.com.cn/
76	Six შვეიცარიის საფონდო ბირჟის ინდექსები / Six Swiss Exchange Indices	Six შვეიცარიის ბირჟა (Six Swiss Exchange) არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფონდო ბირჟა ევროპაში, რომლის მფლობელია Six Group. შვეიცარიის საფონდო ბირჟა დაარსდა 1993 წელს ჟენევის, ბაზელისა და ციურიხის საფონდო ბირჟების გაერთიანებით, რის შემდეგაც ჩამოყალიბდა Verein Schweizerische Effektenbörse - Swiss Securities Exchanges Association ცნობილი როგორც Swiss Exchange. Six შვეიცარიის ბირჟა გვთავაზობს სხვადასხვა საფონდო და ობლიგაციების ინდექსებს, რომელიც გაერთიანებულია შემდეგ ჯგუფებში: საბაზისო კაპიტალი, უძრავი ქონება, სტრატეგია, შვეიცარიის საანგარიშო განაკვეთები, ობლიგაციები. შვეიცარიის საფონდო ბირჟის ყველაზე ცნობილი ინდექსია SMI- Swiss Market Index, რომელიც SPI(Swiss Performance Index)–ის 20 ყველაზე მსხვილი და ყველაზე ლიკვიდური კომპანიისგან შედგება. SPI (Swiss Performance Index) ინდექსი შეიცავს 200–ზე მეტ კომპანიას, რომლებიც ჩამოთვლილია ბირჟაზე და აკმაყოფილებენ მოთხოვნებს. The SLI(Swiss Leader Index) ინდექსი წარმოადგენს ზოგიერთი უმსხვილესი 30 კომპანიის შეზღუდულ ინდექსს. SBI(Swiss Bond Index)– არის შვეიცარიის ობლიგაციების ინდექსი, აკონტროლებს გამოშვებულ ვალდებულებებს შვეიცარიის ფრანკებში. წყარო:
77	ესპანეთის საფონდო ბირჟები და ბაზრები (BME) ინდექსები / Bolsas y Mercados Españoles – BME Indices	ესპანეთის საფონდო ბირჟები და ბაზრები (Bolsas y Mercados Españoles (BME)) არის ესპანეთის ყველა საფონდო ბაზრისა და ფინანსური სისტემების ოპერატორი. BME წარმოადგენს პროდუქციის, მომსახურებისა და სავაჭრო სისტემების ფართო არჩევანს, რომელიც ეფუძნება მოწინავე და სტაბილურ ტექნოლოგიებს. კომპანია ასევე უზრუნველყოფს გლობალურ ბაზარზე წვდომის სისტემებს ემიტენტებისთვის, შუამავლებისა და ინვესტორებისთვის ევროპაში, ამერიკასა და აფრიკაში. BME-ის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენს მისი დივერსიფიკაცია და სტრუქტურა, რომელიც ორგანიზებულია შვიდ ბიზნეს ერთეულში. ისინი წარმოადგენენ პროდუქციისა და მომსახურების ფართო და მრავალფეროვან ასორტიმენტს, რომელის შეთავაზებაც შეუძლია კომპანიას: აქციები, ფიქსირებული შემოსავალი, დერივატივები, ანგარიშსწორება, ბაზრის

		მონაცემები და სხვა. BME საბაზრო მონაცემები (Market Data) გვთავაზობს ინდექსების სერვისს- INDICES SERVICES, რომელიც მოიცავს შემდეგი ინდექსების ჯგუფს Real-time Indices, End of Day Indices და Weather Indices, მათ შორის: IBEX 35, IND BME, IND N1, IND BOL და სხვა. ინდექსი IBEX 35 როგორც ესპანეთის საორიენტაციო მაჩვენებელი, შედგება ესპანეთის მთავარი აქციებისგან და წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან ბარომეტრს. წყარო: https://www.bolsasymercados.es/esp/Sobre-BME/Indices
78	ტორონტოს საფონდო ბირჟის ინდექსები / Toronto Stock Exchange Indices	ტორონტოს საფონდო ბირჟის ინდექსები მსოფლიო ინვესტორების მიერ გამოიყენება ინვესტიციების ანალიზისთვის, შეფასებისა და აქტივების განაწილებისთვის. S&P/TSX Composite და S&P/TSX 60 ინდექსები კანადის საფინანსო ინდუსტრიის ყველაზე აღიარებული და ფართოდ გამოყენებადი ინდექსებია, რომლებიც აქციების მდგომარეობას აფასებენ. გარდა ამისა, წარმოდგენილია შემდეგი ინდექსები: S&P/TSX 60 Shariah index, S&P/TSX Completion index, S&P/TSX Capped Series და სხვა. წყარო: https://www.tsx.com/
79	ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის Arca ნავთობის ინდექსი / The NYSE Arca Oil Index	NYSE Arca ნავთობის ინდექსი XOI (აღრე წოდებული, როგორც AMEX ნავთობის ინდექსი) არის ნავთობის მოძიებაში, წარმოებასა და განვითარებაში ჩართული ლიდერი კომპანიების ფასების შეწონილი ინდექსი. ინდექსი შემუშავდა 1984 წელს. წყარო: https://www.nyse.com/index
80	ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის Arca Gold Bugs ინდექსი / The NYSE Arca Gold BUGS Index HUI	NYSE Arca Gold BUGS- HUI ინდექსი არის მოდიფიცირებული შეწონილი ინდექსი დოლარებში იმ კომპანიების, რომლებიც მონაწილეობენ ოქროს მოპოვებაში. HUI ინდექსი და ფილადელფიის Gold and Silver Index (XAU) წარმოადგენენ ყველაზე პოპულარულ ინდექსებს ბაზარზე. ინდექსებს შორის მთავარი განსხვავება ისაა, რომ HUI ინდექსი ითვალისწინებს მხოლოდ ოქროს მწარმოებლებს, ხოლო XAU ინდექსში შედის როგორც ოქროს, ისე ვერცხლის მწარმოებლები. ინდექსი შეიქმნა რათა უზრუნველყოს ოქროს ფასების მოკლევადიან ცვლილებებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება. HUI ინდექსი ქვეყნდება 1996 წლიდან. NYSE Arca Gold BUGS ინდექსი ამჟამად მოიცავს 15 ყველაზე მსხვილ და ყველაზე ფართოდ გამართულ ოქროს წარმოების კომპანიას. NYSE Arca Gold Bugs Index არის წესებზე დაფუძნებული ინდექსი, რომელიც მიზნად ისახავს ოქროს მოპოვებაში ჩართული კომპანიების საქმიანობის გაზომვას. წყარო: https://www.nyse.com/index
81	THE Palisades წყლის ინდექსი (ZWI) / The Palisades Water Index (ZWI)	Palisades წყლის ინდექსი (ZWI) არის მოდიფიცირებული შეწონილი საფონდო ბირჟის ინდექსი დოლარებში. იგი შექმნილია გლობალური წყლის ინდუსტრიაში ჩართული კომპანიების საქმიანობაზე დასაკვირვებლად (ტუმბოსა და ფილტრის წარმოება, წყალმომარაგება და სარწყავი მოწყობილობების წარმოება და სხვა.) ინდექსი მოქმედებს 2003 წლიდან. ამერიკის საფონდო ბირჟამ (The American

